პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მზრუნველთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი № 299 (10075) | შაბათი, 18 დეკემბერი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

საქართველოს არქიტექტორების საბრძოლო ამოცანა

ამას წინათ მოსკოვში დამთავრდა მშენებელთა, არქიტექტორთა და საშენი მასალების მრეწველობის, სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის, დამპროექტებელი და სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი, რომელზეც სხვა საკითხებთან ერთად დიდი ყურადღება მიექცა ბინათმშენებლობის საკითხს.

ჩვენი არქიტექტორები აქტიურად მონაწილეობენ საბჭოთა ხალხის მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, მისი ყოფაცხოვრების, სწავლის, შრომის და სხვა პირობების მკვეთრად გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში.

ვერც ერთ ქვეყანაში ვერ ნახავთ მთელი ქალაქებისა და დაბების, სამრეწველო, საკულტურო, საზოგადოებრივ, საცხოვრებელ, სანატორიულ-საკურორტო და სხვა ნაგებობათა მშენებლობის ისეთ ფართო გაქანებას, როგორც ჩვენში, საბჭოების ქვეყანაში.

ქართულმა საბჭოთა არქიტექტურამ რუსეთისა და ჩვენი დედაქალაქის — მოსკოვის არქიტექტურის კეთილმყოფელი გავლენის შედეგად არაერთი შესანიშნავი ნაგებობა შექმნა. მათ შორის არის სამრეწველო ხასიათის ნაგებობა—ზაჰესი, საზოგადოებრივი ხასიათის ნაგებობანი — მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის შენობა, მთავრობის სახლი, საქართველოს სსრ პავილიონი სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, არქიტექტურული კომპლექსები და ა. შ.

არქიტექტურის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნით ხუროთმოძღვართა კადრებს. საბჭოთა არქიტექტორი კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებელია. არქიტექტორთა პროფესიულ დაოსტატებაზე დამოკიდებულია ნაგებობათა არა მარტო მხატვრული ღირსება, არამედ მათი ტექნიკური სრულყოფილება და მშენებლობის ეკონომიკაც, სამშენებლო საქმიანობაში დაბანდებული დიდი ფულადი სახსრების რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენებაც. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ საბჭოთა არქიტექტორებს შორის უკანასკნელ წლებში დამკვიდრდა შენობათა ეგრეთწოდებული „ფასადური“ გაფორმებით, „გალამაზებით“ გატაცების არასწორი ტენდენცია, რომელიც ზოგჯერ არ ითვალისწინებს ნაგებობათა შიდა მოწყობის ელემენტარულ მოთხოვნებს და მათ საზიანოდაც კი წარმოებს.

საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების დაპროექტებისას ბევრი არქიტექტორი ცდილობს მიაღწიოს წმინდა გარეგნულ ეფექტს, ითვალისწინებს დიდ, სრულიად გაუმართლებელ ხარჯებს ფასადების დეკორაციული გაფორმებისათვის და არ უწევს ანგარიშს ინდუსტრიული მშენებლობის ტექნოლოგიას.

ამ მხრივ დამახასიათებელია საქართველოს ქვანახშირის კომბინატის ადმინისტრაციული შენობის არქიტექტურა. ამ სახლის ავტორები (არქიტექტორი მ. ჩხიკვაძე და ს. ხალინური პრემიის ლაურეატი არქიტექტორი კ. ჩხეიძე) „გაიტაცა“ სტოკჰოლმის რატუშის შენობის მხატვრულმა სახემ, მათ არ გაითვალისწინეს ქალაქის მნიშვნელოვანი კვანძის გაშენების რეალური შესაძლებლობანი, დაიგიწყეს საბჭოთა არქიტექტურის იდეურ-მხატვრული საფუძვლები და ქართული მონუმენტური ხუროთმოძღვრების ფორმების ეგრეთწოდებული სტილიზაციის გზას დაადგნენ, რამაც ყოვლად გაუმართლებელი ზედმეტობა და სახელმწიფო სახსრების გადახარჯვა გამოიწვია.

„საქართველოს ქვანახშირის“ შენობის დეკორაციული ხასიათის კოშკის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება მთელი შენობის ღირებულების თითქმის 20 პროცენტს აღწევს. კოშკზე დახარჯული თანხებით შეიძლებოდა დიდი საცხოვრებელი სახლის აშენება. სწორედ ეს არის ის სავსებით გაუმართლებელი ზედმეტობა არქიტექტურაში, რომელზეც განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება მშენებელთა სრულიად საკავშირო თათბირმა.

გაუმართლებელი ზედმეტობა იქნა დაშვებული აგრეთვე თბილისის სადგურის შენობის რეკონსტრუქციისა და სხვა ნაგებობათა მშენებლობისას. თავის დროზე — „საქართველოს ქვანახშირის სახლის“ დაპროექტებისას გაისმა ყრუ სიგნალები მის სერიოზულ ნაკლოვანებებზე, მაგრამ ამ სიგნალებს ყური არავინ უგდო. ამის ერთ-ერთი მიზეზი კი ის არის, რომ საქართველოს არქიტექტორთა კავშირში, არქიტექტორთა შორის სუსტად არის გაშლილი შემოქმედებითი, პირუთვნელი კრიტიკა და თვითკრიტიკა.

ქართველ საბჭოთა არქიტექტორებს მუდამ უნდა ახსოვდეთ პარტიის ცნობილი მითითება იმის შესახებ, რომ არქიტექტურული პროდუქციის ანუ აშენებული ნაგებობის შესწორება, გადაკეთება შესაძლებელია მხოლოდ იმ ვიათ შემთხვევაში, ისიც დიდი სიძნელით და სახელმწიფოს დიდი სახსრების დახარჯვით. ამიტომ არქიტექტურულ შემოქმედებაში საჭიროა მაქსიმალური სიფხიზლე და მომთხოვნელობა. ამაზე მეტყველებს თუნდაც კავშირგაბმულობის სახლის ფასადის რეკონსტრუქცია.

მშენებლობის ერთ-ერთი სერიოზული ნაკლია ის, რომ პრაქტიკაში დამკვიდრებული არ არის საცხოვრებელი სახლებისა და სხვა მასობრივ ნაგებობათა ტიპური პროექტები. ტიპიზაციასა და სტანდარტიზაციას არქიტექტორები შემოქმედებითი მოღვაწეობის შესამეხარისხოვან საქმედ თვლიან. საქართველოს პირობებში კი, სადაც მშენებლობის ტემპები და გაქანება სერიოზულად ჩამორჩება, ტიპურ დაპროექტებასა და სტანდარტიზაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ქ. თბილისში ნ. ნიკოლაძის ქ. № 3 სახლის (ავტორი სტალინური პრემიის ლაურეატი ა. მიმინოშვილი) ოთხოთახიანი ბინის საცხოვრებელი ფართობი მეტად დიდია — თითქმის 100 კვადრატულ მეტრს აღწევს, რასაც ტიპურ სექციასთან საერთო არა აქვს რა. ნორმებთან შედარებით გადიდებული საცხოვრებელი ფართობით გატაცება იგრძნობა სხვა პროექტებსა და აგებულ სახლებშიც.

ამჟამად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების მკვეთრად გაუმჯობესებას, ბინათმშენებლობის ტემპების შეუნელებელ ზრდას. ამ მხრივ რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისშიც არასახარბიელო მდგომარეობაა. მართალია, უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე გაცილებით მეტი ახალი საცხოვრებელი ფართობი გადაეცა საექსპლოატაციოდ, ვიდრე მეოთხე ხუთწლედში, მაგრამ ზრდის მაჩვენებელი ჯერ კიდევ არაკმარისია. განსაკუთრებით შეუწყნარებელია მშენებლობის გაჭიანურება, რამაც ჩვენში სისტემატური ხასიათი მიიღო და რაც საგრძნობლად აძვირებს სამუშაოებს. ამოცანა ის არის, რომ ფართოდ გავაჩაღოთ მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების, კომპლექსების, მასივების მშენებლობა და პრაქტიკაში დავნერგოთ მოსკოვის მშენებელთა მდიდარი გამოცდილება.

პარტიის XIX ყრილობის და სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად თბილისის შემდგომი რეკონსტრუქციის, რესპუბლიკაში კაპიტალური მშენებლობის ამოცანები საქართველოს არქიტექტურულ-სამშენებლო ფრონტის მუშაკებისაგან მოითხოვს დაპროექტების ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესებას, მშენებლობის ყოველმხრივ გაიაფებასა და დაჩქარებას, არქიტექტურაში გაუმართლებელი ზედმეტობის საბოლოოდ აღმოფხვრას, ტიპური პროექტებისა და სტანდარტების ფართოდ დანერგვას, მოწინავე ტექნიკის შეხამებას მშენებლობის ინდუსტრიულ მეთოდებთან.

საბჭოთა ხალხის მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა გათვალისწინება, საბჭოთა ადამიანებისათვის მოხერხებულობის შექმნაზე ზრუნვა მთავარია არქიტექტორთა შემოქმედებაში.

ავიყვანოთ ქართული საბჭოთა არქიტექტურის დონე ახალ მოთხოვნათა დონემდე, მჭიდროდ დავუკავშიროთ იგი მშენებლობის პრაქტიკულ საკითხებს. ასეთია არქიტექტორთა საბრძოლო ამოცანა.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ნ. ნ. შატალინის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ნ. ნ. შატალინის დაბადების ორმოცდამეათე წლისთავთან დაკავშირებით და პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე მისი დამსახურების აღსანიშნავად ამხ. ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე შატალინი დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1954 წლის 16 დეკემბერი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მოწვეული მშენებელთა, არქიტექტორთა, საშენი მასალების, სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის მრეწველობის, დამპროექტებელი და სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირის მონაწილეთა

მ ი მ ა რ თ ვ ა

სამშენებლო ინდუსტრიის ყველა მუშაკისადმი

ამხანაგებო!

საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვა სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგში. განუწყვეტლივ ვითარდება მრეწველობა და ტრანსპორტი, აღმავლობის გზაზეა სოფლის მეურნეობა, რის შედეგადაც წლითიწლობით უმჯობესდება საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობა.

ჩვენს ქვეყანაში ფართო მასშტაბით ხორციელდება კაპიტალური მშენებლობა. მარტო უკანასკნელ წლებში აღდგენილ იქნა, აშენდა და ამუშავდა 8.000-ზე მეტი დიდი სახელმწიფო სამრეწველო საწარმო. განხორციელებულია დიდი სატრანსპორტო მშენებლობა, გაყვანილია ათასობით კილომეტრი რკინიგზა და გზატკეცილი. ქალაქებსა და მუშათა დაბებში აგებულია 200 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები და სოფელ ადგილებში 4,5 მილიონამდე სახლი. დიდი მასშტაბით წარმოებს სკოლების, საავადმყოფოების, საბავშვო დაწესებულებათა, კომუნალური საწარმოთა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმოო ნაგებობათა მშენებლობა კოლმეურნეობებში. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა საერთო მოცულობა 1954 წელს 1946 წელთან შედარებით 2,5-ჯერ გადიდდა.

ეს უდიდესი შემოქმედებითი მუშაობა წარმოებს საბჭოთა ადამიანების მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველდღიურად ზრუნავენ სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებისათვის, რომელიც სახალხო მეურნეობის უმსხვილეს დარგად გადაიქცა. გამოზრდილია კვალიფიციურ მშენებელთა არმია, აღზრდილია ათეულ ათასობით ინჟინერი და ტექნიკოსი, რომლებსაც დიდი პრაქტიკული გამოცდილება აქვთ. მშენებლობა აღჭურვილია მრავალი მანქანით და მექანიზმით, რომლებიც ამსუბუქებენ მუშათა შრომას და ზრდიან შრომის ნაყოფიერებას. გაუმჯობესდა სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია და ტექნოლოგია.

დიდად განვითარდა საშენი მასალების მრეწველობა, აგებულია ასობით საწარმო, რომლებიც აღჭურვილია მოწინავე ტექნიკით, გადიდდა საშენი მასალების, დეტალებისა და კონსტრუქციების გამოშვება. 1954 წელს 1940 წელთან შედარებით ცემენტის წარმოება სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში გადიდდება 3,4-ჯერ, შიფერისა — 6-ჯერ, აგურისა — 3-ჯერ, ფანჯრის მინისა — 2-ჯერ და სხვ.

ყოველივე ეს მოწმობს დიდ პროგრესს სამშენებლო ინდუსტრიაში. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ მშენებლობა მთელ რიგ ადგილებში წარმოებს ჯერ კიდევ ნელა, ძვირად და ყოველთვის როდია ხარისხოვანი, შენობები და ნაგებობანი ხშირად შენდება მოძველებული მეთოდებით, რომლებიც მოითხოვენ ხელით შრომის დიდი რაოდენობით გამოყენებას. მშენებლობა ძირითადად ხორციელდება ინდივიდუალური პროექტებით, რომლებიც საკმაოდ არ ითვალისწინებენ ასაწყობი კონსტრუქციებისა და დეტალების გამოყენებას. საშენი მასალების მრეწველობა მთლიანად როდი აკმაყოფილებს მშენებლობის მოთხოვნილებას, ხშირად უშვებს დაბალი ხარისხის და ძვირადღირებულ პროდუქციას. სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის მრეწველობა ნელა ამუშავებს და ნელა ეუფლება ახალი მანქანებისა და მექანიზმების წარმოებას მშენებლობის კომპლექსური მექანიზაციისა და საშენი მასალების მრეწველობისათვის.

შევიკრიბეთ რა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწვევით, განვიხილეთ ჩვენი მუშაობის შედეგები, გამოვამჟღავნეთ არსებული ნაკლოვანებანი, ერთმანეთს გავუზიარეთ გამოცდილება და დავსახეთ სამშენებლო ინდუსტრიის უფრო მაღალ საფეხურზე აყვანის ღონისძიებანი.

სამშენებლო ინდუსტრიის წინაშე დიდი ამოცანები დგას. სახალხო მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობა რომ უზრუნველყოთ და სრულად დავაკმაყოფილოთ საბჭოთა ადამიანების მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებანი, საჭიროა უფრო მეტი მასშტაბით ვაწარმოოთ სამრეწველო საწარმოების, ქვანახშირის შახტების, ელექტროსადგურების, რკინიგზებისა და გზატკეცილების მშენებლობა. დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, საბჭოთა მეურნეობების, მარცვალსაცავებისა და სოფლის მეურნეობის სხვა ნაგებობათა მშენებლობას, განსაკუთრებით უამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებში. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობას.

ჩვენი მთავარი ამოცანა ის არის, რომ შევამციროთ მშენებლობის ვადები, დროზე გადავცეთ საექსპლოატაციოდ შენობები და ნაგებობანი, შევამციროთ მშენებლობის ღირებულება და გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი. ამისათვის საჭიროა ძირეულად გავაუმჯობესოთ სამშენებლო საქმე, გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება, ყველგან გადავიდეთ მშენებლობის ინდუსტრიულ მეთოდებზე — გამოვიყენოთ საქარხნო პირობებში დამზადებული ასაწყობი კონსტრუქციები და დეტალები, გადავაქციოთ მშენებლობანი ასაწყობ-სამონტაჟო მოედნებად, ვაშენოთ ტიპური პროექტებით, გამოვავლინოთ და მთლიანად გამოვიყენოთ სამშენებლო ორგანიზაციებსა და საწარმოებში არსებული რეზერვები, უზრუნველვყოთ მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვა წარმოებაში და ამ მიზნით გამოვიყენოთ სხვა ქვეყნების მიღწევებიც.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სამშენებლო საქმის გაუმჯობესების მიზნით დაგვავალეს ფართოდ გამოვიყენოთ სახლებისა და ნაგებობების მშენებლობაში ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები, დეტალები და საკედლე ბლოკები. ქარხნებში დამზადებული ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების დანერგვა ერთ-ერთი ძირითადი ღონისძიებაა, რომელიც უზრუნველყოფს სამშენებლო მრეწველობის აღმავლობას. ჩვენი მოვალეობაა უსწრაფესად შევასრულოთ პარტიისა და მთავრობის ეს მითითება.

ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების გამოყენება საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად დავზოგოთ ლითონი და ხე-ტყის მასალა, შევამციროთ შრომის ხარჯი და მშენებლობის ვადები. მაგრამ სამრეწველო, ჰიდროტექნიკური, სატრანსპორტო, აგრეთვე საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის პრაქტიკაში დღემდე სჭარბობს ლითონისა და ხის კონსტრუქციები და მონოლითური რკინაბეტონი, ხოლო ასაწყობ რკინაბეტონის კონსტრუქციებს საკმაოდ არ იყენებენ.

თანამედროვე ტექნიკა და დადებითი გამოცდილება, რაც შეიძინეს მოწინავე მშენებლებმა და დამპროექტებელმა ორგანიზაციებმა, საშუალებას გვაძლევს ფართოდ გამოვიყენოთ მშენებლობაში ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები, მათ შორის წინასწარ დაძაბული არმატურის კონსტრუქციები.

საჭიროა გადავიდეთ ასაწყობი რკინაბეტონის კარკასების, ფერმების, კოჭებისა და შენობების სხვა კონსტრუქციების ფართოდ გამოყენებაზე, ნაცვლად ლითონის კონსტრუქციებისა.

საჭიროა ფართოდ გამოვიყენოთ დიდი ზომის რკინაბეტონის პანელები საცხოვრებელი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამრეწველო შენობათა გადახურვისათვის, მსუბუქი ბეტონის დიდი პანელები შენობების დასახურავად, ასაწყობი რკინაბეტონის დაფაქტურებული მარშებისა და ბაქანებისაგან შემდგარი კიბეები.

საჭიროა სამრეწველო და საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში დავნერგოთ საძირკვლისა და სარდაფის კედლების ასაწყობი ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები. მოსკოვის, ლენინგრადისა და მთელი რიგი სხვა ქალაქების სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილება ცხადყოფს, რომ საბინაო მშენებლობაში ყორისა და ყორებეტონის ნაცვლად ასაწყობი საძირკვლების გამოყენება მნიშვნელოვნად აჩქარებს მათს შრომატევადობას და ღირებულებას.

საჭიროა ფართოდ დავნერგოთ მშენებლობის პრაქტიკაში მსხვილი დაფაქტურებული საკედლე ბლოკები და პანელები. მათი გამოყენება საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად დაჩქარდეს შენობების აგების ვადები. ლენინგრადის საქალაქო მშენებლობის სამმართველოს, ტრესტ „როსტოვსტროის“ და სხვა ორგანიზაციების მშენებელთა მოწინავე გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ერთი ბლოკი, რომლის დადგმაზე მემონტაჟე ხარჯავს 15 წუთს, ცვლის დაახლოებით 800 აგურს, რაც კალატოზის საშუალო დღიურ გამომუშავებას შეადგენს. ტრესტმა „მაგნიტოსტროიმ“ დიდი პანელებისაგან ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ხანგრძლივობა შეამცირა ოთხ თვემდე. მოსკოვში „მოსკულტსტროის“ სამმართველომ დიდი ბლოკებისაგან სასკოლო შენობის მშენებლობაზე 30 პროცენტით შეამცირა შრომის ხარჯი შენობის თვითეულ კუბურ მეტრზე, იმ ხარჯთან შედარებით, რაც საჭიროა სასკოლო შენობის აგურით მშენებლობის დროს.

საჭიროა აგრეთვე ფართოდ გამოვიყენოთ მშენებლობაში ასაწყობი ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები მიწისქვეშა კომუნიკაციებისათვის, ჭაურებისა და სამთო გვირაბების გასამაგრებლად, რკინაბეტონის საყრდენები და ანძები ელექტროგადაცემისა და კავშირგაბმულობის ხაზების გაყვანის დროს, ასაწყობი ბეტონისა და რკინაბეტონის ზღუდეები, სხვადასხვა ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები სასოფლო-სამეურნეო მშენებლობაში. სატრანსპორტო მშენებლობაში საჭიროა ფართოდ გამოვიყენოთ კონსტრუქციები ასაწყობი რკინაბეტონის ხიდებისათვის, მილები, ბოძები და შპალები, აგრეთვე საფარი საავტომობილო გზებისათვის.

ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების გამოყენების ამოცანის განხორციელებისათვის სსრ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს გადაწყვეტილება სამი წლის განმავლობაში აშენდეს 402 ქარხანა და 200 პოლიგონი, რაც საშუალებას მოგვცემს ერთიანად გავადიდოთ ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების გამოშვება და 1957 წელს ავიყვანოთ იგი 9,8 მილიონ კუბურ მეტრამდე წელიწადში.

დიდი პასუხისმგებლობით დაიწყეს ამ ამოცანის შესრულება მოსკოვის, ლენინგრადის, სტალინგრადისა და სხვა ქალაქების მშენებლებმა, რომლებმაც ვალდებულება იკისრეს ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების ქარხნები აამუშაონ დაწესებულ ვადებზე ადრე. კიევის, სვერდლოვსკისა და ჩელიაბინსკის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა რკინაბეტონის ნაკეთობის ქარხნების მშენებლობანი გამოაცხადეს კომკავშირულ მშენებლობებად და დიდ დახმარებას უწევენ მათ მშენებლობის ვადამდე დამთავრებისათვის.

მაგრამ საერთოდ რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების ქარხნებისა და პოლიგონების მშენებლობა და ათვისება ჯერ კიდევ ნელა ხორციელდება.

მშენებელთა და საშენი მასალების მრეწველობის მუშაკთა ღირსების საქმეა უზრუნველყონ ამ ქარხნებისა და პოლიგონების რაც შეიძლება სწრაფად აშენება და ამუშავება. მანქანათმშენებელი მრეწველობის მუშაკებმა დროზე უნდა უზრუნველყონ მშენებლობის პროცესში მყოფი ქარხნები და პოლიგონები მაღალი ხარისხის ტექნოლოგიური მოწყობილობით ასაწყობი რკინაბეტონის ნაკეთობათა წარმოებისათვის.

მთავრობამ გაითვალისწინა, რომ სამი წლის მანძილზე მნიშვნელოვნად გადიდდეს წიდაბეტონის, ბეტონის, ქაფბეტონის, სილიკატის მასის, ხუნებრივი ქვის საკედლე ბლოკების წარმოება, აგრეთვე ბლოკების დამზადება აგურისაგან. საკედლე ბლოკების წარმოებამ 1957 წელს უნდა შეადგინოს საკედლე მასალების საერთო წარმოების სულ ცოტა ერთი მესამედი. ჩვენი ამოცანაა ყოველი ღონისძიებით გავაფართოოთ დიდი საკედლე ბლოკებისა და პანელების ბინის ფართობის გამოშვება, რომლებიც დაფაქტურებული იქნება ორი მხრიდან და საჭირო აღარ იქნება მათი დამუშავება სამშენებლო მოედანზე, აგრეთვე დიდი წარმადობის მანქანების დამზადება მათ გამოსაშვებად.

მშენებლობაში ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და საკედლე ბლოკების დანერგვა უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ, არ უნდა დავველოდოთ ახალი ქარხნებისა და პოლიგონების მშენებლობის დამთავრებას, არამედ ფართოდ გამოვიყენოთ არსებული საწარმოები და ასაწყობი რკინაბეტონის დეტალების, კონსტრუქციებისა და დიდი საკედლე ბლოკების წარმოება მოვაწყოთ უშუალოდ მშენებლობებზე.

საჭიროა მთლიანად გამოვიყენოთ მშენებლობებზე არსებული ტექნიკა, მივაღწიოთ სამშენებლო პროცესების, პირველ რიგში მძიმე და შრომატევად სამუშაოთა კომპლექსურ მექანიზაციას.

ჩვენ გვაქვს საჭირო პირობები ძირითად სამშენებლო სამუშაოთა უფრო ფართო მექანიზაციისათვის და ცალკეული სამშენებლო პროცესების მექანიზაციიდან მშენებლობის კომპლექსურ მექანიზაციაზე გადასვლისათვის. სამშენებლო ორგანიზაციები შეიარაღებული არიან დიდძალი სამშენებლო მანქანებით. 1954 წელს 1950 წელთან შედარებით ექსკავატორთა რიცხვი გაიზარდა 2,6-ჯერ, ბულდოზერებისა — 3,4-ჯერ, დიდი ტვირთის სკრეპერებისა — 4,4-ჯერ, მუხლუხა, კოშკურა, საავტომობილო და რკინიგზის ამწეებისა — 4-ჯერ.

მაგრამ სამშენებლო და საგზაო მანქანებს ბევრ მშენებლობაზე ჯერ კიდევ ცუდად იყენებენ. ჩვენ ვალდებული ვართ უკეთ გამოვიყენოთ მანქანები, შევასრულოთ გამომუშავების დაწესებული ნორმები. ყოველი ღონისძიებით შევამციროთ მანქანების მოცდენა, უზრუნველვყოთ სამშენებლო მოწყობილობის დროული და ხარისხოვანი რემონტი, დავნერგოთ მშენებლობაში ელექტროფიცირებული ინსტრუმენტი და წარმოების ნოვატორთა ინსტრუმენტების საუკეთესო ნიმუშები. ჩვენ მთლიანად უნდა გამოვიყენოთ ავტოტრანსპორტი, დროზე მივაწოდოთ სამშენებლო მოედნებს მასალები და დეტალები და შეუფერხებლად მოვიმსახუროთ ექსკავატორებსა და სხვა მექანიზმებს.

ჩვენ უნდა ავამაღლოთ მიწის სამუშაოთა, არამადნეული მასალების მოპოვებისა და გადამუშავების, აგრეთვე დასატვირთავ-გადმოსატვირთავ და მოსაპირკეთებელ სამუშაოთა მექანიზაციის დონე.

მანქანათმშენებელი მრეწველობის მუშაკთა ამოცანაა გააფართოონ მანქანებისა და მექანიზმების გამოშვება მშენებლობისათვის, შექმნან ახალი მანქანები — ექსკავატორები მცირე ტევადობის ციცხვით, სხვადასხვა დასატვირთავი და სამონტაჟო ამწეები, ცემენტისა და ფხვიერი მასალების გადმომტვირთავები, მანქანები ჰიდროსაიზოლაციო, მოსაპირკეთებელი და სხვა სამშენებლო სამუშაოების მექანიზაციისათვის, მანქანები სატრანსპორტო და სასოფლო-სამეურნეო მშენებლობისათვის, აგრეთვე გააფართოონ მცირე მექანიზაციის საშუალებების, მაღალხარისხოვანი ინსტრუმენტის, სამშენებლო-სამონტაჟო ინვენტარის და მანქანებისა და მექანიზმების სათადარიგო ნაწილების გამოშვება.

ჩვენ უნდა გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება, მტკიცედ გავაუმჯობესოთ სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია, გულმოდგინედ გავავრცელოთ მოწინავე გამოცდილება. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელი დიდი ლენინი გვასწავლის, რომ შრომის ნაყოფიერების გადიდება ახალი საზოგადოების ძირითად ამოცანას შეადგენს, რომლის გადაუწყვეტლადაც შეუძლებელია კომუნიზმზე გადასვლა.

ბევრი სამშენებლო ორგანიზაცია, ფართოდ აჩაღებს რა სოციალისტურ შეჯიბრებას, იყენებს რა სამუშაოთა ორგანიზაციის მოწინავე მეთოდებს, ასაწყობ დეტალებსა და კონსტრუქციებს და ახდენს რა შრომატევადი პროცესების მექანიზაციას, წარმატებით, მთლიანად და გადამეტებით ასრულებს შრომის ნაყოფიერების გადიდების დავალებებს. ამავე დროს მთელი რიგი სამშენებლო ორგანიზაციები, მიუხედავად დიდი შესაძლებლობებისა, საკმაოდ ნაყოფიერად როდი მუშაობენ, რის შედეგადაც შრომის ნაყოფიერების ზრდის ხუთწლიანი გეგმის დავალება მშენებლობაში მთლიანად ვერ სრულდება.

ჩვენ ყოველდღიურად უნდა შევისწავლოთ და გავავრცელოთ მოწინავე ორგანიზაციებისა და ნოვატორი მუშების გამოცდილება, შევქმნათ პირობები ყველა რაციონალიზატორული წინადადების სწრაფი დანერგვისათვის. შრომის მოწინავე მეთოდებს უნდა დაეუფლოს ყველა მშენებელი, მშენებლობათა ყველა ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი.

სამშენებლო წარმოების ყველა დარგში არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც, აქტიურ მონაწილეობას იღებენ რა სოციალისტურ შეჯიბრებაში, სრულყოფილად დაეუფლნენ ტექნიკას, შეიმუშავეს შრომის ახალი მეთოდები, მნიშვნელოვანი გადამეტებით ასრულებენ გამომუშავების დაწესებულ ნორმებს და გვიჩვენებენ შრომის მაღალი ნაყოფიერების ნიმუშებს.

ექსკავატორების მემანქანეები ივანე ერმოლენკო, მიხეილ ეგეცი, ნიკოლოზ უსაჩოვი, კუზმა დოცენკო, სტეფანე ნეროდა, პეტრე ტარაბარსკი, ნიკოლოზ შესტაკოვი, ნიკიფორე იარიგინი და სხვები მანქანების კარგად შენახვისა და მათი სწორად გამოყენების, ექსკავაციის ციკლის შემცირებისა და ოპერაციების უნარიანად შეთავსების მეოხებით ნორმებს ორმაგად — სამმაგად ასრულებენ.

მემონტაჟეები ნიკოლოზ ხუტინი, ვასილ ეგოროვი, ნიკოლოზ კოსინოვი, ვასილ შვედოვი, იგორ ლვოვი, ივანე გარმაში, პავლე ჩუდინოვი და სხვები დაეუფლნენ რკინაბეტონისა და ფოლადის კონსტრუქციების მონტაჟის ჩქაროსნულ მეთოდებს, ეწევიან მონტაჟს დიდი კვანძებითა და ბლოკებით, უნარიანად იყენებენ მანქანებსა და მექანიზმებს და სისტემატური გადამეტებით ასრულებენ ნორმებს.

კალატოზების ივანე შირკოვის, ვასილ კოროლიოვის, ლეონტი გორბას, პეტრე კუზმინის, სიმონ მაქსიმენკოს, ნიკოლოზ შჩეგლოვის, ივანე რაზმანიდისა და სხვების მუშაობის მოწინავე მეთოდებმა, რომლებსაც ფართოდ იყენებენ ჩვენს მშენებლობებზე, არსებითი გავლენა მოახდინა მშენებლობაში შრომის ნაყოფიერების ზრდაზე.

სამშენებლო წარმოების ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად ჩვენ უნდა მივაღწიოთ თანაბარ მუშაობას მთელი წლის განმავლობაში. ბევრ მშენებლობაზე წლის პირველ კვარტალში იმის შედეგად, რომ ცუდად მოემზადნენ ახალ წელს მშენებლობისათვის, შეანელეს დაძაბულობა გეგმის შესრულების საქმეში და აქვთ ნაკლოვანებანი დაგეგმვაში, იწყება მკვეთრი კლება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულებაში, რაც იწვევს დიდ ზარალს. თანამედროვე ტექნიკა საშუალებას გვაძლევს წარმატებით ვიმუშაოთ შემოდგომა-ზამთრის თვეებშიც.

სამშენებლო ორგანიზაციების უთანაბრო მუშაობის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ არ ზრუნავენ შექმნან საჭირო მარაგნამეტი წლის დადგეგმისათვის, რომ მუშაობა წარმოებდეს ზამთრის პირობებში. ეს ამცირებს სამუშაოთა ფრონტს და იწვევს კვალიფიციური მუშების დიდ გაცდენასა და არასწორად გამოყენებას. მარაგნამეტის შექმნა წლის განმავლობაში თანაბარი მუშაობის მთავარი პირობაა.

საჭირო განვაგრძოთ მუშაობა არარენტაბელური წვრილი სამშენებლო ორგანიზაციების გამსხვილებისა და მსხვილი სამშენებლო ორგანიზაციების შექმნისათვის, რომლებსაც, როგორც წესი, გეგმის შესრულების,

საგჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მოწვეული მშენებელთა, არქიტექტორთა, საშენი მასალების, სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის მრეწველობის, დამპროექტებელი და სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირის მონაწილეთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ი მ ა რ თ ვ ა

სამშენებლო ინდუსტრიის ყველა მუშაკისადმი

(დასასრული)

ისეთი არსებითი ნაკლი, როგორიც არის ძირითად სამუშაოთა დაწყება ისე, რომ წინასწარ მოწყობილი არ არის მისასვლელი გზები, გაყვანილი არ არის წყალსადენი, ელექტროხაზები და სხვა მიწისქვეშა კომუნიკაციები. მშენებლები ვალდებულნი არიან მიიღონ ღონისძიებანი, რათა შეამცირონ ხარჯები დროებითს ნაგებობებზე, მშენებლობის მიზნებისათვის გამოიყენონ მშენებლობის პროცესში მყოფი ობიექტის კაპიტალური შენობები, ნაგებობანი და კომუნიკაციები.

სამშენებლო წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ტექნოლოგიური წესების დანერგვას, რომლებიც უზრუნველყოფს მშენებლობის ნაკადურობას და შრომის მოწინავე მეთოდების გამოყენებას. ამასთან მცირდება მშენებლობის ვადები, იზრდება შრომის ნაყოფიერება, დიდდება მუშათა ხელფასი.

მთელ რიგ დიდ მშენებლობებზე კარგი შედეგები მოიტანა კვირეულ-საღღეღამისო გრაფიკების გამოყენებამ. ასეთი გრაფიკების დანერგვა უზრუნველყოფს ზუსტად მუშაობასა და წესრიგს სამშენებლო მოედნებზე.

ბევრი მშენებლობის გამოცდილება ცხადყოფს, რომ კომპლექსურ ბრიგადებად მუშაობის ორგანიზაცია ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას და ხელფასის გადიდებას.

საჭიროა თავი მოვუყაროთ რესურსებს დაწყებული ობიექტების დასამთავრებლად, განსაკუთრებით ასამუშავებელი ობიექტების დასამთავრებლად, შევამციროთ დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა.

ბევრი სამინისტრო, უწყება და სამშენებლო ორგანიზაცია მათთვის გამოყოფილ მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებსა და მუშახელს ქსაქსავს ბევრი შენობისა და ნაგებობის მშენებლობაზე, თავს არ უყრის მათ ასამუშავებელ ობიექტებზე, რაც აჭიანურებს მშენებლობას და აძვირებს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს. საჭიროა მტკიცედ აღმოვფხვრათ ეს ნაკლი.

მგეგმავმა ორგანოებმა და დამკვეთმა სამინისტროებმა ასამუშავებელ ობიექტებზე თავი უნდა მოუყარონ შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის დაგვიანებულ ვადებში დასამთავრებლად საკმაო სახსრებს, დროზე უზრუნველყონ მშენებლობები პროექტებით, ხარჯთაღრიცხვებითა და ტექნოლოგიური მოწყობილობით.

ჩვენ მოვალენი ვართ ყოველდღიურად ვიბრძოლოთ მშენებლობის ღირებულების შემცირებისათვის, მისი რენტაბელობისათვის. ჩვენ უნდა დავზოგოთ სახელმწიფო ფული, განვახორციელოთ ეკონომიის უმკაცრესი რეჟიმი, განვამტკიცოთ სამეურნეო ანგარიში, შევამციროთ სამმართველო და სხვა ზედნადები ხარჯები, უფრო ფართოდ დავნერგოთ მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდები, რაც უზრუნველყოფს შენობათა და ნაგებობათა ღირებულების შემცირებას.

ბევრ მშენებლობაზეა საშენ მასალათა გადახარჯვა, რაც შეადგენს მშენებლობის გაძვირების მთელი თანხის 40-50 პროცენტს. საჭიროა დავზოგოთ საშენი მასალები, ეკონომიურად და რაციონალურად ვხარჯოთ ეს მასალები, არ დავუშვათ დანაკარგები ტრანსპორტირების დროს, წესრიგი დავამყაროთ საწყობო მეურნეობაში.

მნიშვნელოვნად უნდა გავაუმჯობესოთ მუშაობა მშენებლობის ეკონომიკის დარგში, შევიმუშაოთ ღონისძიებანი, რათა ძირეულად გავაუმჯობესოთ აღრიცხვა, სამეურნეო ანგარიში, სახელშეკრულებო ურთიერთობა, დაგეგმვა და სახარჯთაღრიცხვო საქმე.

ჩვენ უნდა მივიღოთ სერიოზული ღონისძიებანი, რათა გავაუმჯობესოთ მშენებლობის სამუშაოთა ხარისხი, არ დავუშვათ დაუმთავრებლობა შენობებსა და ნაგებობებში, რომლებსაც საექსპლოატაციოდ გადავცემთ. ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლა მშენებელთა და საშენი მასალების მრეწველობის მუშაკთა ერთ-ერთი დიდი ამოცანაა. კარგად აშენებული და მოპირკეთებული შენობა არა მარტო მოხერხებულია ექსპლოატაციისათვის, არამედ დიდხანს არ მოითხოვს შეკეთებას და ამიტომ ეკონომიურად უფრო ხელსაყრელია. უნდა ვაღიაროთ, რომ საექსპლოატაციოდ გადაცემულ ბევრ საცხოვრებელ სახლში, სკოლაში, საავადმყოფოსა და საბავშვო დაწესებულებაში ბინები და სადგომები მოპირკეთებულია დაუდევრად, განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელია ბინათშორისი ბგერაიზოლაცია, გამოყენებულია ცუდი ხარისხის სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობა და ცუდი ელექტრული ხელსაწყოები. მთელ რიგ შემთხვევებში შენობებსა და ნაგებობებს საექსპლოატაციოდ გადასცემენ ხოლმე დაუმთავრებელს, დამთავრებული არ არის წყალმომარაგების, კანალიზაციის, უბნების კეთილმოწყობისა და გზების მშენებლობის სამუშაოები.

საჭიროა მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ სამუშაოთა ხარისხი, მეტი უნარი და ოსტატობა გამოვიჩინოთ შენობათა და ნაგებობათა მოპირკეთებისას, ვეცადოთ, რომ შენობები და ნაგებობანი, რომლებსაც საბჭოთა მშენებლები აშენებენ, მოხერხებული და ლამაზი იყოს.

საჭიროა გადაჭრით გავაუმჯობესოთ დაპროექტების საქმე, მივაღწიოთ იმას, რომ დროზე უზრუნველყოთ მშენებლობანი მაღალხარისხოვანი პროექტებით და ხარჯთაღრიცხვებით, მტკიცედ შევუდგეთ ტიპური და განმეორებითი პროექტების გამოყენებას, ფართოდ დავნერგოთ კონსტრუქციებისა და დეტალების ტიპიზაცია და სტანდარტიზაცია და არ დავუშვათ ზედმეტობა პროექტებში. ამ საკითხების გადაჭრა უდიდესი ამოცანაა მშენებლობის გაუმჯობესების საქმეში. იმისათვის, რომ სწრაფად, იაფად და ხარისხოვნად ვაშენოთ, უწინარეს ყოვლისა უნდა გვქონდეს კარგი პროექტები.

ამჟამად შენობათა და ნაგებობათა ბევრი პროექტი ვერ აკმაყოფილებს ინდუსტრიული მშენებლობის ეკონომიურობისა და შესაძლებლობის მოთხოვნებს და არ ითვალისწინებს ასაწყობი კონსტრუქციებისა და დეტალების გამოყენებას. ტექნიკური დოკუმენტაცია ხშირად დაგვიანებით მიდის მშენებლობებზე, ნახაზებს იძლევიან არაკომპლექტურად, საჭირო თანმიმდევრობის დაუცველად.

დამპროექტებელი ორგანიზაციები ცუდად მუშაობენ ტიპური პროექტების დამუშავებაზე, რომელთა გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მშენებლობის ინდუსტრიალიზაციისათვის, სამშენებლო სამუშაოთა ტემპების დაჩქარებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის. დამუშავებულ ტიპურ პროექტებში ხშირად გათვალისწინებულია რაოდენ ტიპისა და ზომის საშენი კონსტრუქციებისა და დეტალების გამოყენება. სრულიად არასაკმაო რაოდენობით არის ტიპური პროექტები, რომლებიც ითვალისწინებენ ასაწყობი რკინაბეტონის დეტალების, დიდი ბლოკებისა და პანელების გამოყენებას.

სამრეწველო და სატრანსპორტო ნაგებობათა პროექტებში დაშვებულია ზედმეტობა, საქარხნო ტერიტორიებისა და კომუნიკაციების გადამეტებული სიდიდე, ძირითად და დამხმარე შენობათა და ნაგებობათა გადიდებული ფართობები და მოცულობანი, სამშენებლო კონსტრუქციების არარაციონალური შერჩევა და ყოველთვის როდია გათვალისწინებული სამრეწველო წარმოების მოწინავე ტექნოლოგია.

საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების დაპროექტებისას ბევრი არქიტექტორი სრულიად არასაკმაო ყურადღებას აქცევს სახლებისა და ბინების ეკონომიკასა და შიდა დაგეგმვას, არ ითვალისწინებს იმას, რომ საჭიროა მშრომელებს შევუქმნათ მოხერხებულობა, უშვებს დიდ ზედმეტობას, ცდილობს მიაღწიოს წმინდა გარეგნულ ეფექტს, ითვალისწინებს დიდ, სრულიად გაუმართლებელ ხარჯებს ფასადების დეკორაციული გაფორმებისათვის და არ უწევს ანგარიშს ინდუსტრიული მშენებლობის ტექნოლოგიას.

ბევრ არქიტექტორსა და ინჟინერს არასწორად, ცალმხრივად ესმის საბჭოთა ქალაქთმშენებლობის ამოცანები, ყურადღებას აქცევს უმთავრესად მაგისტრალებისა და მოედნების გარეგან გაფორმებას და ნაკლებად მუშაობს ქალაქის უბნების დაგეგმვაზე, ივიწყებს რა ამასთან, რომ ქალაქთმშენებლობის ძირითადი მოთხოვნა ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის მოხერხებულობისათვის ზრუნვაა. მთელ რიგ პროექტებში არადამაკმაყოფილებლად არის გადაჭრილი სატრანსპორტო მაგისტრალების მოწყობისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებათა განლაგების საკითხები. ძირითადი საქალაქო რაიონების გეგმაშეზომილი განაშენიანებისა და რეკონსტრუქციის ნაცვლად საბინაო და სამოქალაქო მშენებლობა იქსაჭესება დიდ ტერიტორიებზე და ერთმანეთს მოწყვეტილ უბნებზე, რაც იწვევს დამატებითს ხარჯებს კეთილმოწყობისა და კომუნალური მომსახურებისათვის.

ზოგიერთ ქალაქში ეკონომიურად ყველაზე ხელსაყრელი 4-5-სართულიანი სახლების, ხოლო დიდ ქალაქებში 7-8-სართულიანი სახლების მშენებლობის ნაცვლად, შემჩნეულია გაუმართლებელი მისწრაფება გაადიდონ საცხოვრებელი სახლების სართულიანობა. ამავე დროს ფართოდ გავრცელდა 1-2-სართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, რაც ქალაქების ტერიტორიის ზედმეტ გაფართოებას იწვევს.

საჭიროა დავგმოთ არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის პრაქტიკაში ყველა ეს სერიოზული შეცდომა, რომლებიც იწვევს სახალხო სახსრების უნაყოფო ხარჯვას.

არქიტექტორებმა ძირეულად უნდა გარდაქმნან თავიანთი მუშაობა, გაუმჯობესონ შენობათა და ნაგებობათა დაპროექტების, ქალაქების დაგეგმვისა და განაშენიანების ხარისხი, გამსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ დასაპროექტებელი შენობების ეკონომიურობას, მოხერხებული საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საავადმყოფოების, სპორტული ბაგების, კლუბებისა და სხვა ნაგებობათა შექმნას. საჭიროა მუდამ გვახსოვდეს, რომ საბჭოთა ადამიანებისათვის მოხერხებულობის შექმნაზე ზრუნვა მთავარია არქიტექტორთა შემოქმედებაში.

დამპროექტებლებმა — ინჟინერ-კონსტრუქტორებმა და არქიტექტორებმა უნდა გამოიყენონ ყველაზე ეკონომიური გადაწყვეტა, აირჩიონ შენობათა და ნაგებობათა ყველაზე რაციონალური კონსტრუქციული სქემები, ეცადონ მიაღწიონ ასაწყობი კონსტრუქციების მაქსიმალურ გამოყენებას, ფართოდ დანერგონ დეტალების ტიპიზაცია და უნიფიკაცია, გაითვალისწინონ პროექტებში მაღალმარკიანი და სწრაფმყარებადი ცემენტით გაკეთებული მაგარი ბეტონების ახალი ეფექტიანი რკინაბეტონის კონსტრუქციების გამოყენება.

საჭიროა დამპროექტებელმა ორგანიზაციებმა მიაღწიონ იმას, რომ კომპლექსურ ტექნიკურ დოკუმენტაციას აძლევდნენ სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე.

მეცნიერების მუშაკებმა უნდა გაძლიერონ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მშენებლობაში და წარმოების მუშაკებთან ერთად უზრუნველყონ მეცნიერების მიღწევათა ფართოდ დანერგვა მშენებლობის პრაქტიკასა და საშენ მასალათა მრეწველობაში.

მშენებლობაში და საშენ მასალათა მრეწველობაში ცოტა როდია სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები, რომლებმაც დადებითს შედეგებს მიაღწიეს თავიანთ მუშაობაში. ნაგრამ მშენებლობანი და საწარმოები სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისაგან ჯერ კიდევ ვერ იღებენ საკმაო დახმარებას. ინსტიტუტები და ლაბორატორიები ნელი ტემპით აწარმოებენ მშენებლობისათვის საჭირო გამოკვლევებს, ქსაქსავენ ძალებსა და სახსრებს ბევრ და მთელ რიგ შემთხვევაში მეორეხარისხოვან სამუშაოზე. სამეცნიერო თემატიკა მნიშვნელოვანწილად მოწყვეტილია სამშენებლო წარმოების საარსებო ამოცანებს. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა მშენებლობის პრაქტიკაში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დანერგვის მხრივ. დღემდე სამეცნიერო-საკვლევ ორგანიზაციებს შორის არ არის ჯეროვანი კავშირი და ურთიერთინფორმაცია, ამიტომ მათს მუშაობაში შეიჩნეულია ზედმეტი პარალელიზმი. მშენებლობის დარგის სამეცნიერო-კვლევითს მუშაობაში სუსტად არიან ჩაბმულნი უმაღლესი სასწავლებლები.

საჭიროა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების საქმიანობის ამოცანა გახდეს მშენებლობის გაუმჯობესება, სამუშაოთა ხარისხის ამაღლება, არქიტექტურის გაუმჯობესება, სამშენებლო წარმოების შრომატევადობის შემცირება, მშენებლობის ღირებულების შემცირება და ტემპის დაჩქარება. საჭიროა ყოველი ღონისძიებით გავაფართოოთ მეცნიერთა და მშენებელთა შემოქმედებითი თანამშრომლობა.

სამეცნიერო-საკვლევმა ორგანიზაციებმა მეტ ტექნიკურ სრულყოფამდე უნდა აიყვანონ ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები და მათი წარმოების ტექნოლოგია მშენებლობაში მასობრივად დანერგვისათვის, ამასთან გამოიყენონ სწრაფმყარებადი და მაღალმარკიანი ცემენტები. უნდა შეიმუშაონ გადახურვისა და ტიხრის კონსტრუქციები, რომლებიც უზრუნველყოფენ საიმედო ბგერაიზოლაციას. საჭიროა გულდასმით შევისწავლოთ სამშენებლო წარმოების მთელი რეზერვები და ნოვატორ მშენებელთა მდიდარი პრაქტიკის მეცნიერული ანალიზისა და განზოგადების საფუძველზე განვსაზღვროთ ღონისძიებანი მშენებლობაში შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი გადიდებისათვის. საჭიროა საგრძნობლად გავაფართოოთ ინფორმაცია მშენებლობის დარგში ყველა მიღწევის შესახებ, მათ შორის სხვა ქვეყნებში მშენებლობის საქმის მიღწევების შესახებ.

საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკებმა უნდა გაადიდონ ცემენტის, ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების, საკედლე ბლოკების, არამადნეული მასალების, ასაწყობი სატიხრე ფილების, აგურის, კერამიკული ნაწარმის, სახურავი მასალების, სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობისა და სხვა მასალების გამოშვება, გაუმჯობესონ მათი ხარისხი და შეამცირონ ღირებულება.

ცემენტის მრეწველობის მუშაკებმა მკვეთრად უნდა გაადიდონ ცემენტის გამოშვება, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამშენებლო ინდუსტრიის შემდგომი აღმავლობის ამოცანის გადაჭრისათვის. ომისშემდგომ წლებში ცემენტის წარმოება მნიშვნელოვნად გადიდდა, მაგრამ მაინც კვლავ ჩამორჩება მშენებლობის მზარდ მოთხოვნილებებს. ჯერ კიდევ მცირე რაოდენობით მზადდება მაღალმარკიანი და სწრაფმყარებადი ცემენტი, რომელიც აუცილებელია ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების წარმოებისათვის. ცემენტის მრეწველობაში არსებულ მნიშვნელოვან რეზერვებს სუსტად იყენებენ, ცემენტის მთელი რიგი ქარხნები სისტემატურად არ ასრულებენ საწარმოო გეგმებს, ცალკეულ ქარხნებში ცუდად იყენებენ მოწყობილობას. გამომუშავება ერთ მუშაზე ბევრ ცემენტის ქარხანაში წელიწადში შეადგენს 400-მდე ტონას, მაშინ როცა მოწინავე ქარხნებში იგი 1.000 ტონას აღწევს.

მბრუნავი ღუმელებიდან კლინკერის დიდ გამოშვებას მიაღწიეს მემანქანეებმა ამხ. ნიკოლაევმა, შოგოვიმ, ტროფიმოვმა, ხაზოვმა, კოროტკოვმა და სხვებმა. ნოვოროსიისკის ქარხანა „ოკტიაბრის“ მბრუნავი ღუმელების მემანქანემ თევდორე ნიკოლაევმა მოწყობილობის კარგი მოვლისა და ტექნოლოგიური პროცესის მტკიცედ დაცვის შედეგად მიაღწია საათში 26 კლინკერის გამოშვებას 150-მეტრიანი ღუმელიდან. ნიკოლაევის მეთოდის გამოყენების შედეგად კლინკერის საშუალო თვიური გამომუშავება ქარხანა „ოკტიაბრის“ ერთ მბრუნავ ღუმელზე შეადგენს 16,7 ათას ტონას. ამგვარი გამოშვებისათვის რომ მიეღწიათ ყველა ასეთი აგრეგატიდან, მაშინ მშენებლობანი, ყოველგვარი ხარჯის გაუწევლად, დამატებით მიიღებდნენ წელიწადში ასეულათასობით ტონა ცემენტს.

ცემენტის წარმოების ზრდის უზრუნველსაყოფად საჭიროა ყოველი ღონისძიებით ვზრდიდთ ცემენტის მოქმედი ქარხნების საწარმოო სიმძლავრენი ყველაზე მოწინავე ტექნიკის დანერგვის საფუძველზე, მივაღწიოთ ყველა საწარმოს რიტმულ მუშაობას, დავნერგოთ აგრეგატების მუშაობის ინტენსიფიკაციის, ნედლეულის მასის ტენიანობის შემცირების, ღუმელების კვების ავტომატიზაციისა და ამონაგის გამძლეობის გადიდების ღონისძიებანი. საჭიროა გამოვიყენოთ ბრძმედის გავარვარებული თხელი წიდა კირის დამატებით ცემენტის მისაღებად.

საჭიროა ყოველი ღონისძიებით გავადიდოთ არამადნეულ საშენ მასალათა მოპოვება და გავაუმჯობესოთ მათი ხარისხი. ღორღის, ხრეშისა და ქვიშის წარმოების ზრდა უნდა განხორციელდეს მძლავრი რაიონული მექანიზებული კარიერების მოწყობით, აგრეთვე არამადნეული მრეწველობის არსებულ საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესებით, ტექნიკის უკეთ გამოყენებით, არამადნეული მასალების მოპოვებისა და დამუშავების კომპლექსური მექანიზაციის დანერგვით, თვითეულ მუშაზე გამომუშავების და თვითეულ აგრეგატზე გამოშვების გადიდებით. საჭიროა 1957 წლისათვის გადიდდეს ღორღის, ხრეშისა და ქვიშის წარმოება სულ ცოტა 1,5-ჯერ 1954 წელთან შედარებით, უზრუნველყოფილ იქნან მშენებლობანი მაღალხარისხოვანი არამადნეული მასალებით.

ჩვენ უნდა გავაფართოოთ აგრეთვე დიდი ზომის სატიხრე ფილების, ქარხანაში დამზადებული სადურგლო ნაწარმის, თბოსაიზოლაციო მასალების, კერამიკული და ცემენტის კრამიტის, შიფერის, რბილი სახურავის, სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობის, კავეულის, მილებისა და გაკრიალებული საგიტრინე მინის წარმოება.

საწარმოთა მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, რომლებიც მოსაპირკეთებელ მასალებს ამზადებენ, ვალდებულნი არიან მნიშვნელოვნად გაუმჯობესონ დამზადებული პროდუქციის ხარისხი, გამოუშვან მხოლოდ მაღალხარისხოვანი შპალერი, პარკეტი, ლინოლეუმი, სადურგლო ნაწარმი, კერამიკული ფილები, სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობა და სახლის მრსაწყობი საგნები. საჭირო მოხერხებულობის შექმნა და ბინებისა და შენობების მოპირკეთების ხარისხი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მოსაპირკეთებელ მასალებზე.

უნდა გავაუმჯობესოთ აგურის ქარხნების მუშაობა, გავადიდოთ აგურის გამოშვება მოქმედ საწარმოებში, რისთვისაც ფართოდ დავნერგოთ აგურის დაყალიბების, შრობისა და გამოწვის პროგრესული მეთოდები. ამ ამოცანის გადასაწყვეტად აგურის ქარხნებს უდიდესი შესაძლებლობანი აქვთ. ბევრ ქარხანაში აგურის საშუალო თვიური გამოშვება ღუმელის ერთ კუბურ მეტრზე შეადგენს 800-1.400 ცალს, მაშინ როცა მოწინავე ქარხნებში, რომლებიც იყენებენ გამოწვის ოსტატის დუვანოვის მუშაობის პროგრესულ მეთოდებს, აგურის გამოშვება აღწევს 2.400-2.500 ცალს. გამოანგარიშებულია, რომ, თუ აგურის ყველა ქარხანა გამოიყენებს გამოწვის ოსტატის დუვანოვის მეთოდს, მაშინ აგურის წარმოება ჩვენს ქვეყანაში შეიძლება გაორკეცდეს.

ჩვენ უნდა გავაფართოოთ ამხ. მელნიას სისტემის წნეხების წარმოება და გამოყენება აგურისა და მოსაპირკეთებელი ფილების ნახევრადმშრალი წნეხვისათვის.

მშენებლობის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული ადგილობრივი საშენი მასალების ეფექტიან გამოყენებაზე. ჩვენი ქვეყნის ყოველ რესპუბლიკას, ყოველ რაიონს მოეპოვება ნედლეულის მნიშვნელოვანი მარაგი სხვადასხვა საშენ მასალათა და ნაწარმთა გამოშვებისათვის. საქმე მხოლოდ ის არის, რომ გამოიჩინონ ინიციატივა და უნარი და მოაწყონ ეს წარმოება.

მაგალითად, უკრაინის რესპუბლიკას ნიჟარაქვის, კირქვის, თაბაშირის, ქვისა და თიხის დიდი მარაგი აქვს. მაშასადამე, ამ რესპუბლიკაში უნდა განვითარდეს ნიჟარაქვის, როგორც საკედლე მასალის, და კირის მოპოვება და დამუშავება, თაბაშირის კერამიკული ნაწარმისა და საშენი დეტალების წარმოება. ყაზახეთის სს რესპუბლიკასა და ალტაის მხარეში არის კირქვის, ქვიშის, ქვის, ღორღის, თაბაშირის, ლერწმისა და სხვა სამშენებლო ნედლეულის მნიშვნელოვანი მარაგი. ჩვენი ქვეყნის ამ რაიონებში უნდა განვითარდეს ადგილობრივი საშენი მასალების ნაწარმთა გამოშვება და, კერძოდ, ლერწმის ფილების გამოშვება, რომლებიც ფართო გამოყენებას ჰპოვებენ სასოფლო-სამეურნეო მშენებლობაში.

მშენებლობაში დიდი გამოყენება უნდა ჰპოვოს წიდამ, რომელიც ჩვენი ქვეყნის ბევრ რაიონშია. უნდა განვავითაროთ კირის წარმოება, რომელმაც ფართო გამოყენება უნდა ჰპოვოს მშენებლობასა და ბევრი საშენი მასალის წარმოებაში.

საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის განუწყვეტელი ზრდის შედეგად მნიშვნელოვნად გადიდდა მოსახლეობის მოთხოვნილება საშენ მასალებზე. საჭიროა გავადიდოთ საშენი მასალების, ქარხანაში დამზადებული ნაწარმისა და ასაწყობი სახლების გამოშვება, მშრომელებისათვის მისაყიდად.

სამშენებლო ორგანიზაციებმა უნდა გაუმჯობესონ საშენი მასალების, კონსტრუქციებისა და დეტალების გამომშვებ საკუთარ საწარმოთა მუშაობა. ამ საწარმოთა სიმძლავრეებს არადამაკმაყოფილებლად იყენებენ. მათი წარმოების ზრდას აფერხებენ უმთავრესად იმის გამო, რომ სამშენებლო ორგანიზაციები ხშირად საზღვრავენ ამ საწარმოთა გეგმებს, რომ ითვალისწინებენ მხოლოდ თავიანთ საუწყებო მოთხოვნილებებს, და მთლიანად არ ტვირთავენ ამ საწარმოებს.

საჭიროა მთლიანად გამოვიყენოთ სამშენებლო ორგანიზაციების საწარმოთა სიმძლავრე, რაც მკვეთრად გაადიდებს საშენ მასალათა და ნაწარმთა გამოშვებას. არ უნდა დავუშვათ სახსრების დაუცმაცება წვრილ, ნახევრად-შინამრეწველურ საწარმოთა მშენებლობაზე, უნდა შევქმნათ საშენი მასალების, კონსტრუქციებისა და დეტალების გამომშვები რაიონული, დიდი და მექანიზებული საწარმოები.

მთელი სამშენებლო საქმის ძირეული გაუმჯობესება დამოკიდებულია უწინარეს ყოვლისა ადამიანებზე, მათს ენერგიაზე, ინიციატივასა და უნარზე. ყოველდღიური ზრუნვა მშენებელთა მუდმივი კვალიფიციური კადრების შექმნისათვის ყველა სამშენებლო ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

ამავე დროს სამშენებლო ორგანიზაციებში მუდმივი მუშათა კადრების შექმნას ჯეროვანი ყურადღება ჯერ კიდევ არ ექცევა, არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მათი მომზადება, დიდია დენადობა. ჩვენ უნდა აღმოვფხვრათ ეს ნაკლოვანებანი და გავაძლიეროთ ზრუნვა მშენებელთა კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებისა და საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

უნდა შევქმნათ საჭირო პირობები მშენებელ მუშათა ხელფასის გასადიდებლად შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდის საშუალებით, სამუშაოთა უკეთესი ორგანიზაციით, ასაწყობი კონსტრუქციებისა და დეტალების ფართოდ დანერგვით და მშენებლობების მასალებით მომარაგების გაუმჯობესებით.

საჭიროა გავაუმჯობესოთ ახალგაზრდა მუშათა მომზადება საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებსა და სახელოსნო სასწავლებლებში. ბევრი მუშა, რომლებმაც დაამთავრეს ეს სკოლები, დამოუკიდებლად ვერ მუშაობს, ვერ ასრულებს ნორმებს და ვერ უზრუნველყოფს მუშაობის ჯეროვან ხარისხს. მთელ რიგ მშენებლობებზე ახალგაზრდა მუშებს არ უქმნიან პირობებს კვალიფიკაციის შესაძენად.

დიდი მნიშვნელობა აქვს სამშენებლო კადრების შექმნაში მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებას უშუალოდ სამშენებლო წარმოებაში — ბრიგადულ-ინდივიდუალური მეთოდით, სასწავლო კომბინატებში და კურსებზე. სწავლების ეს ფორმები შესაძლებლობას იძლევა მოკლე ვადებში მოვამზადოთ მშენებელთა კვალიფიციური კადრები.

ყოველი ღონისძიებით უნდა ავამაღლოთ ბრიგადირისა და ოსტატის როლი მშენებლობებზე. ბევრ შემთხვევაში ისინი ჯერ კიდევ არ გამხდარან სამშენებლო წარმოების მოწინავე ორგანიზატორები.

ყოველი ღონისძიება უნდა მივიღოთ, რათა რაც შეიძლება სწრაფად შევასრულოთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება მშენებლობისათვის უმაღლესი და საშუალო ტექნიკური განათლების მქონე სპეციალისტების გამოშვების გადიდებისა და მათი მომზადების გაუმჯობესების შესახებ. ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებიც ამთავრებენ სასწავლებლებს, კარგად უნდა იცნობდნენ თანამედროვე სამშენებლო მანქანებს, მექანიზმებსა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოწინავე მეთოდებს. ყურადღება უნდა მივაქციოთ აგრეთვე პრაქტიკოსების — სამშენებლო წარმოების ამ დიდი ძალის კვალიფიკაციის ამაღლებას.

სამშენებლო საქმის ძირეული გაუმჯობესებისათვის საჭიროა გადაჭრით ავამაღლოთ ორგანიზაციულ-ტექნიკური ხელმძღვანელობის დონე და მივაღწიოთ საინჟინრო-ტექნიკური ძალების სწორად განაწილებას. ინჟინრებსა და ტექნიკოსებს თავიანთ საპატიო მოვალეობად უნდა მიაჩნდეთ მუშაობა იქ, სადაც წყდება მშენებლობის წარმატება, — სამშენებლო და სამონტაჟო მოედნებზე და საწარმოებში მუშაობა. ჩვენი ხელმძღვანელი კადრები კარგად უნდა ერკვეოდნენ მშენებლობათა და საწარმოთა ტექნიკასა და ეკონომიკაში, ეყრდნობოდნენ ყოველივე საუკეთესოს, მოწინავეს, რაც წარმოიშობა მასების შემოქმედებითი შრომის პროცესში.

* * *

ჩვენ, მშენებელთა, არქიტექტორთა, საშენი მასალების, სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის მრეწველობის, დამპროექტებელი და სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირის მონაწილენი, მოწოდებით მივმართავთ მშენებლობათა, საშენი მასალების, სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის მრეწველობის საწარმოთა ყველა მუშას, მოსამსახურეს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკს, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაკებს კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება მშენებლობის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, სამშენებლო სამუშაოთა ღირებულების შემცირებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

ჩვენი ვალია უზრუნველვყოთ იმ ამოცანების უსწრაფესად განხორციელება, რომლებიც დაგვისახეს პარტიამ და მთავრობამ სამშენებლო საქმის ძირეული გაუმჯობესების, ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების, ქარხნებში დამზადებული საკედლე ბლოკებისა და ნაკეთობის, საშენი მასალებისა და დეტალების წარმოების გადიდების, ხარისხის გაუმჯობესებისა და ღირებულების შემცირების, მშენებლობის მექანიზაციის დონის ამაღლების, მშენებლობათა მაღალხარისხოვანი მანქანებით, მოწყობილობითა და ინსტრუმენტით მომარაგების დარგში.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ მიმართულებას მხურვალედ გამოეხმაურება სამშენებლო ინდუსტრიის ყველა მუშაკი და რომ ისინი ახალ წარმატებებს მოიპოვებენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა

16 დეკემბერს საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა განაგრძობდა მუშაობას.

ყრილობა მუშაობს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში. დილის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა პავლო ტიჩინა, მოხსენება „საბჭოთა ლიტერატურა ბავშვებისა და პიპუკებისათვის“ გააკეთა მწერალმა ზორის პოლევოიმ.

საბჭოთა საბავშვო ლიტერატურას დიდი საბელოვანი ტრადიციები აქვს, თქვა მომხსენებელმა. ყველა ხელოვანმა, რომლებიც ჩვენს ეროვნულ სიამაყეს შეადგენენ, თავისი წვლილი შეიტანა საბავშვო ლიტერატურაში. ვლადიმერ პაიაკინი რა საბავშვო ლიტერატურაზე, მის თანამედროვე მდგომარეობაზე, ვფიქრობთ რა მისი შემდგომი განვითარების გზებზე, ჩვენ ვლაპარაკობთ და ვფიქრობთ უაღრესად საპირო და დიდმნიშვნელოვან საქმეზე — კომუნიზმის მშენებელთა ახალი თაობების აღზრდაზე, ჩვენი საშობლოს მომავალზე.

მწერალთა ორ ყრილობას შორის განვლილი 20 წლის მანძილზე საბჭოთა ლიტერატურა ბავშვებისა და პიპუკებისათვის გაიზარდა, განმტკიცდა და განვითარდა მომხსენებელმა მოიყვანა ციფრები, რომლებიც ახასიათებენ თანამედროვე საბავშვო ლიტერატურის მიღწევებს. მაგალითად, თუ საბჭოთა მწერლების პირველი ყრილობის დღეებში საბავშვო ლიტერატურაში მუდამ მუშაობდა სულ რამდენიმე ლიტერატორი, ოცი წლის მანძილზე საბავშვო წიგნები დაწერა 1.500 ავტორმა: მწერალმა, პოეტმა, დრამატურგმა, მეცნიერმა, პედაგოგმა, მოგზაურმა, წარჩინებულმა და გამოცდილმა ადამიანმა.

ყველა ამ ავტორის საერთო ღონისძიებებით განხორციელებულია 20.600 გამოცემა, რომელთა საერთო ტირაჟია 911 მილიონი ცალი. ნორჩ მკითხველებში განსაკუთრებით პოპულარულია ნაწარმოებნი ნიკოლოზ ოსტროვსკისა, ვალენტინ კატაევისა, არკადი გაიდარისა, ალექსანდრე ფადეევისა, ბენიამინ კავერინისა და ბევრი სხვა მწერლისა, რომელთა შორის ბევრია მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების ლიტერატურათა წარმომადგენლები. ბავშვებისა და პიპუკების საყვარელი გმირები გახდნენ ისეთი მომხიბლავი, თავისებური ხასიათები, როგორიც არის თავისუფლებისათვის მებრძოლი ბებრძოლი ჩაპაევი, როგორიც არის შეუდრეკელი ახალგაზრდა კომუნისტი, სახელოვანი გმირი და დიდი მშრომელი პავლე კორჩაგინი, როგორიც არის მეოცნებე და გულფიცხი მოსწავლე ზოია კოსმოდემიანსკაია, რომელიც ჩვენი სამშობლოსათვის ძნელ დღეებში გახდა შეუპოვარი სახალხო შურისმაგებელი ტანია, როგორიც არის ახალგაზრდა გვარდიელთა სახელოვანი პლეადა. ამ ავტორთა წიგნებს ცხოველად გამოეხმაურა მალიონობით მკითხველი, იმიტომ რომ მწერლებმა შეძლეს წარმოესახათ ადამიანები, რომლებიც განსასიერებენ ჩვენი დროის ნამდვილი გმირის თვისებებს, რომლებიც წარმოადგენენ ტიპიურ ხასიათს ტიპიურ გარემოებებში.

ამავე დროს ნორჩ მკითხველთა საყვარელი გმირები არიან ჰომეროსის, სერვანტესის, დეფოს, ქრისტიან ანდერსენის, დე კოსტერისა და ფენელონის ლიტერატურის ბევრი სხვა კლასიკოსის საავტომობილო ჭარხნის ტერიტორია. მეავტომობილეთა დაბაში აშენებულია არქიტექტურულად გაფორმებული მრავალსართულიანი სახლები, სამკურნალო დაწესებულებები, ათობით მაღაზია, სასადილო და სავაჭრო წერტილი, საკოლმეურნეო ბაზარი, სკოლები, აფთიაქი, ბიბლიოთეკა, საფოსტო განყოფილება, საბავშვო ბაღები. მოსაფალტებული ათასობით კვადრატული მეტრი შიდამოსასკელი გზა. დაბის ტერიტორიაზე გაშენებულია ახალი სკვერები და ყვავილნარები, რომლებიც წელს შეავსო 50 ათასამდე ძირი ძვირფასი მცენარით.

მეავტომობილეთა კოლექტივი იზრდება. ამიტომ წელს სახალხო სასამართლოების არჩევნების ახალი საარჩევნო პუნქტი შეიქმნა.

არჩევნებისათვის მზადება ახალ № 41 საარჩევნო პუნქტში თავიდანვე ორგანიზებულად წარიმართა.

საქალაქო სბჭოს აღმასკომის რწმუნებულმა ს. იობაძემ და ხმის დამთვლელი კომისიის წევრებმა, რომლებმაც მჭიდროდ დარაზმეს აქტივისტები, დროულად განახორციელეს არჩევნებთან დაკავშირებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი.

მასობრივ-საagიტაციო მუშაობა ფართოდ იყო გაშლილი არჩევნებისათვის მზადების ცალკე ეტაპებზე. 50-მდე აგიტატორი დამაჯერებელ, ფინანსიან აგიტაციას ეწევა სახალხო მოსამართლის კანდიდატ ს. ჩეჩელაშვილისა და სახალხო მსაჯულთა კანდიდატების სასარგებლოდ. აგიტატორების გ. გოგისვანიძის, მ. გლადშტეინის, ა. დოროფეევის და სხვათა საუბრებს ყოველთვის დიდძალი ხალხი ესწრება, ისინი კონკრეტული მაგალითებით აკრნენ ამომრჩეველს ბურჟუაზიული სასამართლოს რეაქციულ ბრსს და სბჭოთა მართლმსაჯულების დემოკრატიულ პრინციპებს, ესაუბრებიან სოციალისტურ სახელმწიფოში საბჭოთა სასამართლოს როლზე.

ამომრჩეველები 19 დეკემბერს ყველა, როგორც ერთი, უკლებლივ გამოცხადდებიან საარჩევნო პუნქტში და ხმას მისცემენ სოციალისტური კანონიერების ღირსეულ დამცველებს.

საბჭოთა მთავრობის ნოტა საფრანგეთის მთავრობისადმი

16 დეკემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო საფრანგეთის ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ლ. ჟოქსი და გადასცა მას სსრ კავშირის მთავრობის შემდეგი ნოტა საფრანგეთის მთავრობისადმი:

„საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია საფრანგეთის მთავრობის ყურადღება მიაქციოს იმას, რომ საფრანგეთის მთავრობის მოქმედება, რაც გამოიხატა ევრეთწოდებულ პარიზის შეთანხმებათა დადებით, ძირეულად ეწინააღმდეგება ვალდებულებებს, რომლებიც საფრანგეთმა იკისრა „სბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და საფრანგეთის რესპუბლიკას შორის კავშირისა და ურთიერთ დახმარების ხელშეკრულებით“.

ეს ხელშეკრულება დაიდო მეორე მსოფლიო ომის ბოლოს, 1944 წლის 10 დეკემბერს, როცა სბჭოთა კავშირი და საფრანგეთი, ანტიჰიტლერული კოალიციის სხვა სახელმწიფოებთან ერთად, მჭიდროდ გააერთიანეს რა თავიანთი ძალები, მძიმე ბრძოლას ეწეოდნენ ევროპის ხალხების საერთო მტრის — გერმანიის მილიტარიზმის წინააღმდეგ. საფრანგეთ-სბჭოთა კავშირის ხელშეკრულება, რომელიც განმტკიცებულია სბჭოთა და ფრანგი ხალხების საუკეთესო შვილების სისხლით, ითვალისწინებს იმას, რომ საფრანგეთმა და სბჭოთა კავშირმა ერთობლივი ღონისძიებანი მიიღონ, რათა აღკვეთონ გერმანიის მილიტარიზმის მხრივ ახალი აგრესიის შესაძლებლობა და ამით აღკვეთონ ახალი ომი ევროპაში.

ამ ხელშეკრულებაში, რომელიც დადებულია ვადით 1964 წლის ბოლომდე, ნათქვამია: „ხელშეკრულების მონაწილე მაღალი მხარეები ვალდებულებას კისრულობენ გერმანიასთან ახლანდელი ომის დამთავრების შემდეგაც ერთობლივად იხმარონ ყველა საჭირო ღონისძიება გერმანიისაგან წარმოშობილი ყოველგვარი ახალი საფრთხის თავიდან ასაცილებლად და წინააღმდეგობა გაუწიონ ისეთ მოქმედებას, რომელიც შესაძლოს გახდის აგრესიის ყოველ ახალ ცდას გერმანიის მხრივ“ (მე-3 მუხლი).

შემდეგ ხელშეკრულებაში ნათქვამია:

„ხელშეკრულების მონაწილე მაღალი მხარეები ვალდებულებას კისრულობენ არ დადონ რაიმე კავშირი და მონაწილეობა არ მიიღონ რაიმე კოალიციაში, რომელიც მიმართული იქნება ხელშეკრულების მონაწილე ერთ-ერთი მაღალი მხარის წინააღმდეგ“ (მე-5 მუხლი).

ხელშეკრულება შეიცავს აგრეთვე მხარეთა ვალდებულებას — გაუწიონ ერთმანეთს დახმარება გერმანიის მხრივ აგრესიის შემთხვევაში, რაც შეესაბამება ოროგორც საფრანგეთის, ისე საბჭოთა კავშირის უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებს.

მაშინ როცა საფრანგეთ-სბჭოთა კავშირის ხელშეკრულება მიზნად ისახავს არ დაუშვას გერმანიის ახალი აგრესიის შესაძლებლობა, პარიზის შეთანხმებანი, რომლებსაც ხელი მოაწერა საფრანგეთის მთავრობამ, იწვევენ გერმანიის მილიტარიზმის აღდგენას და ამით ქმნიან გერმანიის ახალი აგრესიის საფრთხეს. ეს შეთანხმებანი ითვალისწინებენ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციას და დასავლეთ გერმანიის არმიის შექმნას ყოფილი ჰიტლერელი გენერლების მეთაურობით, რომლებიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ საფრანგეთის, სბჭოთა კავშირის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, ნორვეგიის, ბელგიისა და ევროპის სხვა სახელმწიფოების ოკუპირებულ ტერიტორიებზე ნერგავდნენ სისხლიანი ტერორისა და ჩაგვრის ფაშისტურ რეჟიმს.

იქმნება დასავლეთ გერმანიის არა მარტო დიდი არმია, რომელსაც ეყოლება ავიაციის დიდი ძალები, ექნება ტანკები, მძიმე არტილერია, საკუთარი სამხედრო შტაბები, არამედ დასავლეთ გერმანიის მთელი მძიმე მრეწველობაც, რურის სამრეწველო ოლქის ჩათვლით, კვლავ დაიწყებს საჭურვლის წარმოებას.

არსებულ საერთაშორისო შეთანხმებათა საწინააღმდეგოდ, პარიზის შეთანხმებანი დასავლეთ გერმანიის მილიტარისტებსა და რევანშისტებს ხელში აძლევენ ატომურ იარაღს, აგრეთვე ქიმიურ და ბაქტერიოლოგიურ იარაღს, რაც ბევრად ადიდებს გამანადგურებელი ატომური, ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ომის საფრთხეს მთელი მისი მძიმე შედეგებით და აუტანელი მსხვერპლით.

პარიზის შეთანხმებანი ამასთან ერთად ითვალისწინებენ რემილიტარიზებული დასავლეთ გერმანიის შეყვანას აგრესიულ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში და სხვა სამხედრო დაჯგუფებებში, რომლებიც მიმართულია სბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ. ეს იმას ნიშნავს, რომ საფრანგეთი, რომელიც ამ დაჯგუფებათა ერთ-ერთი მთავარი მონაწილეა, სამხედრო კავშირს დებს გერმანიის მილიტარიზმთან, რომლებსაც ახლა აღორძინებენ, მაშინ როცა საფრანგეთ-სბჭოთა კავშირის ხელშეკრულების თანახმად საფრანგეთმა ვალდებულება იკისრა არ დადოს რაიმე სამხედრო კავშირი, მიმართული სბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

სბჭოთა მთავრობამ უკვე არაერთგზის და, კერძოდ, თავის ამა წლის 23 ოქტომბრის, 13 ნოემბრისა და 9 დეკემბრის ნოტებში აღნიშნა, რომ საფრანგეთის მთავრობის ასეთი მოქმედება აშკარად ეწინააღმდეგება კავშირიისა და ურთიერთდახმარების შესახებ საფრანგეთ-სბჭოთა კავშირის ხელშეკრულების შინაარსსა და ფორმას. პარიზის შეთანხმებათა ხელმოწერით საფრანგეთმა უხეშად დაარღვია საფრანგეთ-სბჭოთა კავშირის ხელშეკრულებით ნაკისრი თავისი სამოკავშირეო ვალდებულებანი როგორც გერმანიის ახალი აგრესიის თავიდან აცილების მხრივ, ისე იმ მხრივაც, რომ მონაწილეობას არ მიიღებდა სბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო კავშირებში.

სბჭოთა მთავრობამ არაერთგზის მიაქცია საფრანგეთის მთავრობის ყურადღება ყველა იმ საფრთხეს, რომლებიც დაკავშირებულია გერმანიის მილიტარიზმის აღდგენის პოლიტიკასთან. ამასთან იგი მუდამ აღნიშნავდა, რომ საჭიროა სსრ კავშირისა და საფრანგეთის მხრივ ერთობლივი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ევროპის მშვიდობის უზრუნველყოფა და განმტკიცება და გერმანიის პრობლემის მოწესრიგების გადაუდებელი საკითხების გადაწყვეტა.

იმ მიზნით, რომ გერმანიის ერთიანობის აღდგენის საკითხი გადაწყდეს მშვიდობისმოყვარულ და დემოკრატიულ საფუძვლებზე, სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების მოწყობის გზით, სბჭოთა მთავრობა მოითხოვდა ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის დაუყოვნებლივ მოწვევას.

სბჭოთა მთავრობამ ასევე აგრეთვე საფრანგეთის მთავრობას, რომ მას ხელი შეეწყო ევროპის კოლექტიური უშიშროების ეფექტიანი სისტემის შექმნის შესახებ სრულიად ევროპის ხელშეკრულების დადებისათვის, ხელშეკრულებისა, რომლის მონაწილე შეიძლება ყოფილიყო ევროპის ყველა სახელმწიფო, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებისა. ასეთი ხელშეკრულების დადებას შეეძლო უზრუნველეყო განვითარების მშვიდობიანი პირობები ევროპის ყველა ხალხისათვის. სბჭოთა მთავრობა წინადადებას იძლეოდა, რომ ნოემბრის დამლევს მოსკოვში ან პარიზში მოწვეული ყოფილიყო ევროპის ყველა ქვეყნის თათბირი სპეციალურად ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის საკითხის განსახილველად.

სბჭოთა მთავრობის ყველა ამ წინადადების მიზანი იყო ის, რომ არ იქნას დაშვებული გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება, განმტკიცდეს და განვითარდეს საფრანგეთ-სბჭოთა კავშირის მეგობრული ურთიერთობა, რასაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს საფრანგეთისა და სსრ კავშირის უშიშროების უზრუნველყოფისათვის და ევროპის მშვიდობის განმტკიცებისათვის.

სბჭოთა მთავრობა მწუხარებით აღნიშნავს, რომ საფრანგეთის მთავრობამ უარი თქვა მონაწილეობა მიიღოს ევროპის კოლექტიური უშიშროების ორგანიზაციაში და გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგების გადაუდებელი ამოცანების გადაწყვეტაში. უარყო რა სბჭოთა მთავრობის ზემოაღნიშნული წინადადებანი და მისი მეგობრული გაფრთხილებანი, საფრანგეთის მთავრობამ ცხადყო, რომ მას არა სურს ანგარიში გაუწიოს საფრანგეთ-სბჭოთა კავშირის ხელშეკრულებით ნაკისრი თავის ვალდებულებებს, ევროპის ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ინტერესებს.

საფრანგეთის მთავრობის ახლანდელი პოლიტიკა არათუ არ შეესაბამება ვალდებულებებს, რომლებიც საფრანგეთმა იკისრა კავშირისა და ურთიერთდახმარების შესახებ საფრანგეთ-სბჭოთა კავშირის ხელშეკრულებით, არამედ პირდაპირ მიმართულია სბჭოთა კავშირისა და ევროპის სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა წინააღმდეგ.

საფრანგეთის მთავრობამ ხელი მოაწერა პარიზის შეთანხმებებს და ახლა ყოველნაირად ცდილობს დაიჩქაროს ამ შეთანხმებათა რატიფიკაცია. ამით იგი ცდილობს დაიჩქაროს დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია და მისი შეყვანა აღნიშნულ სამხედრო დაჯგუფებებში.

ასეთ მდგომარეობაში საფრანგეთ-სბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას არ შეუძლია ემსახურებოდეს იმ მიზნებს, რა მიზნებისათვისაც იგი დაიდო. რამდენადაც, ამ ხელშეკრულების არსებობის მიუხედავად, საფრანგეთის მთავრობა დაადგა დასავლეთ გერმანიაში მილიტარიზმის აღდგენის პოზიციას და რემილიტარიზებული დასავლეთ გერმანია შეჰყავს სამხედრო დაჯგუფებებში სბჭოთა კავშირისა და ევროპის სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა წინააღმდეგ, საფრანგეთ-სბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას არათუ არ შეუძლია ემსახურებოდეს მშვიდობის ინტერესებს, არამედ, პირიქით, იგი იქცევა მხოლოდ შირმად, რომელმაც უნდა დაფაროს საფრანგეთის მთავრობის ახლანდელი პოლიტიკა, მთავრობისა, რომელიც შეეფიცა აგრესიულ სამხედრო დაჯგუფებებში, რომლებსაც მეთაურობენ აღორძინებული შეერთებული შტატები. სბჭოთა მთავრობა ვერ შეურიგდება ასეთ მდგომარეობას და მას არ შეუძლია ეს პირდაპირ არ უთხრას როგორც სბჭოთა ხალხს, ისე ფრანგ ხალხს.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია გარდუვალად სერიოზულად გაამწვავებს მთელ ვითარებას ევროპაში, რომ ეს რატიფიკაცია არ შეესაბამება ევროპის მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებს, რომ იგი ესაჭიროებათ მხოლოდ ზოგიერთი სახელმწიფოს აგრესიულ წრეებს, რომლებიც ახალ ომს ამზადებენ.

ასეთ პირობებში სბჭოთა მთავრობას თავის მოვალეობად მიაჩნია განაცხადოს, რომ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის აქტი ხაზს გადაუსვამს საფრანგეთ-სბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას კავშირისა და ურთიერთდახმარების შესახებ და გააუქმებს ამ ხელშეკრულებას. ამისათვის მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრება საფრანგეთს, საფრანგეთის მთავრობას.

პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის შემდეგ სბჭოთა მთავრობას ისღა დარჩება, რომ შეატანოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განსახილველად წინადადება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და საფრანგეთის რესპუბლიკას შორის კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების გაუქმების შესახებ.

მოსკოვი, 1954 წლის 16 დეკემბერი“.

საფრანგეთის ელჩმა განაცხადა, რომ იგი დაუყოვნებლივ გადასცემს ნოტას თავის მთავრობას.

ხვალ სახალხო სასამართლოების არჩევნებია

★ ★ ★

ახალ საარჩევნო პუნქტში

ᲛᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). სულ უფრო და უფრო მშვენდება და ლამაზდება ჩვენი რესპუბლიკის დიდი სამრეწველო საწარმოს — ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ტერიტორია. მეავტომობილეთა დაბაში აშენებულია არქიტექტურულად გაფორმებული მრავალსართულიანი სახლები, სამკურნალო დაწესებულებები, ათობით მაღაზია, სასადილო და სავაჭრო წერტილი, საკოლმეურნეო ბაზარი, სკოლები, აფთიაქი, ბიბლიოთეკა, საფოსტო განყოფილება, საბავშვო ბაღები. მოსაფალტებულია ათასობით კვადრატული მეტრი შიდამოსასკელი გზა. დაბის ტერიტორიაზე გაშენებულია ახალი სკვერები და ყვავილნარები, რომლებიც წელს შეავსო 50 ათასამდე ძირი ძვირფასი მცენარით.

მეავტომობილეთა კოლექტივი იზრდება. ამიტომ წელს სახალხო სასამართლოების არჩევნების ახალი საარჩევნო პუნქტი შეიქმნა.

არჩევნებისათვის მზადება ახალ № 41 საარჩევნო პუნქტში თავიდანვე ორგანიზებულად წარიმართა.

საქალაქო სბჭოს აღმასკომის რწმუნებულმა ს. იობაძემ და ხმის დამთვლელი კომისიის წევრებმა, რომლებმაც მჭიდროდ დარაზმეს აქტივისტები, დროულად განახორციელეს არჩევნებთან დაკავშირებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი.

მასობრივ-საagიტაციო მუშაობა ფართოდ იყო გაშლილი არჩევნებისათვის მზადების ცალკე ეტაპებზე. 50-მდე აგიტატორი დამაჯერებელ, ფინანსიან აგიტაციას ეწევა სახალხო მოსამართლის კანდიდატ ს. ჩეჩელაშვილისა და სახალხო მსაჯულთა კანდიდატების სასარგებლოდ. აგიტატორების გ. გოგისვანიძის, მ. გლადშტეინის, ა. დოროფეევის და სხვათა საუბრებს ყოველთვის დიდძალი ხალხი ესწრება, ისინი კონკრეტული მაგალითებით აკრნენ ამომრჩეველს ბურჟუაზიული სასამართლოს რეაქციულ ბრსს და სბჭოთა მართლმსაჯულების დემოკრატიულ პრინციპებს, ესაუბრებიან სოციალისტურ სახელმწიფოში საბჭოთა სასამართლოს როლზე.

ამომრჩეველები 19 დეკემბერს ყველა, როგორც ერთი, უკლებლივ გამოცხადდებიან საარჩევნო პუნქტში და ხმას მისცემენ სოციალისტური კანონიერების ღირსეულ დამცველებს.

ახალგაზრდა მოსამართლე

ოცდასამი წლის იყო ოთარ აკაკის-ძე ისაკაძე, როცა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა. იგი უკვე ფართო შემოქმედებითი ცხოვრების გზაზე გამოდიოდა. უმაღლეს სასწავლებელში მიღებული ცოდნა ახალგაზრდა იურისტს პრაქტიკულად უნდა განეხორციელებინა.

ო. ისაკაძე პირველად სტალინის რაიონის პროკურატურაში სახალხო გამომძიებლად დანიშნეს, ხოლო შემდეგ ამავე რაიონის პროკურორის თანაშემწედ გადაიყვანეს. გავიდა ერთი წელი და, 1949 წლის ოქტომბერში ახალგაზრდა იურისტი 26 კომისრის რაიონის მე-4 უბნის სახალხო მოსამართლედ აირჩიეს.

— უსათუოდ უნდა გავამართლო ამომრჩეველთა მაღალი ნდობა — მტკიცედ გადაწყვიტა ახალგაზრდა მოსამართლემ. და მართლაც პატიოსანი, ენერგიული მუშაობით მალე საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურა.

ოთარს ხშირად ნახავთ რაიონის საწარმო-დაწესებულებებში, იგი ხან ანგარიშს აბარებს ამომრჩეველს, ხან მიმდინარე პოლიტიკის საკითხებზე ესაუბრება მათ.

ო. ისაკაძემ კარგად იცის, რომ სბჭოთა იურისტისათვის პოლიტიკური განათლება წარმატებით მუშაობის საწინდარია. 1952 წელს მან წარჩინებით დაამთავრა მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტი.

ამომრჩეველმა ახალგაზრდა მოსამართლეს კვლავ გამოუცხადეს ნდობა. თბილისის ზეთსახდელი ქარხნის კოლექტივმა ო. ა. ისაკაძე 26 კომისრის რაიონის 1-ლი უბნის სახალხო მოსამართლის კანდიდატად დაასახელა.

Ა. ᲒᲔᲚᲝᲬᲐᲜᲘ,
Ა. ᲡᲐᲛᲡᲝᲜᲘᲐ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. სტალინის რაიონის 1-ლი საარჩევნო ოლქის № 1 საარჩევნო პუნქტი არჩევნების წინადღეებში. ფოტო ვ. გინზბურგისა.

ᲑᲘᲠᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ, 15 დეკემბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი კანტონიდან იუწყება:

დღეს ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრი უ ნუ და მისი თანმხლები პირები კანტონიდან თვითმფრინავით გაფრინდნენ სამშობლოში.

აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო ბირმის კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით, ორკესტრმა შეასრულა ბირმის კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები. აეროდრომზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული.

თავის განცხადებაში გამგზავრების წინ უ ნუმ, კერძოდ, თქვა: როდესაც მე 1 დეკემბერს პეკინის აეროდრომზე ჩამოვედი, გავაკეთე განცხადება, რომელშიც მოკლედ შევეხე ჩინეთში ჩვენი ვიზიტის მიზნებს. ახლა მე ფრიად მოხარული ვარ განვაცხადო, რომ სამივე მთავარი მიზანი:

1) იმ მეთოდების პირადად გაცნობა, რომელსაც იყენებენ ახალი ჩინეთის მშენებლობის საქმეში,

2) შეხვედრები და საუბრები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან,

3) მტკიცე საფუძვლის შექმნა ჩინეთ-ბირმის მეგობრობისათვის, შესრულებულია.

მე შესაძლებლობა მქონდა მენახა მრავალმხრივი მშენებლობა, რომელსაც ახლა არაჩვეულებრივი ენთუზიაზმით ახორციელებენ მთავრობა და ხალხი. და შევხვედროდი ჩინეთის ხელმძღვანელებს.

ჩვენ შეგვეძლო ვყოფილიყავით ყველგან, სადაც გვსურდა, ამასთან გექონდა სრული თავისუფლება და ყველა პირობა, რომ ჩვენი ყოფნა ჩინეთში ყოფილიყო როგორც სასიამოვნო, ისე სასარგებლო.

ამ დიდი ქვეყნის ხელმძღვანელებთან საუბრებში ჩვენ განვიხილეთ არა მარტო ის საკითხები, რომლებიც საერთო ინტერესს წარმოადგენენ, არამედ აგრეთვე საკითხები, რომლებიც ეხება მთელი მსოფლიოს მშვიდობას. საუბრები მიმდინარეობდა თავისუფლად და გულახდილად გამსაკუთრებული გულითადობის ატმოსფეროში. ჭრუნდები ბირმაში და თან მიმაქვს უაღრესად სასიამოვნო მოგონებანი ამ დიდი ქვეყნის შესახებ.

მე ჭრუნდები აგრეთვე გარკვეული შთაბეჭდილებისა: ეს არის მშაცობა და სიმტკიცე ჩინეთის ხელმძღვანელებისა თავმჯდომარე მაო ძე-დუნის მეთაურობით; ხალხის მასების ენთუზიაზმი და ენერგია, გრანდიოზული აღდგენითი მუშაობა, რომელიც ჩინეთში ხორციელდება, ცხოვრების დონის საგრძნობი ამაღლება და, ბოლოს, ჩინელი ხალხის მხურვალე მისწრაფება მშვიდობისადმი.

მე ბირმაში ჭრუნდები გადაწყვეტილებით ვიბრძოლო ჩინეთისა და ბირმის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის. მე გავაკეთებ ყველაფერს, რაც ძალიმს, რომ ხელი შევუწყო მთელი მსოფლიოს მშვიდობას.

Უ ᲜᲣᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲛᲨᲝᲛᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ, 15 დეკემბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი კანტონიდან იუწყება:

დღეს ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრი უ ნუ და მისი თანმხლები პირები კანტონიდან თვითმფრინავით გაფრინდნენ სამშობლოში.

აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო ბირმის კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით, ორკესტრმა შეასრულა ბირმის კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები. აეროდრომზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული.

უ. ჩერჩილის არაკეთილსინდისიერი მოქმედების შესახებ

23 ნოემბერს ვუდფორდის ოლქის ამომრჩეველების წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა გააკეთა გულახდილი განცხადება იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე, „როცა გერმანელები ასეულ ათასობით გვენდებოდნენ ტყვედ, ხოლო ჩვენი ქუჩები სავსე იყო მოზვიმე ხალხით“, მან, ჩერჩილმა, ევროპაში ინგლისის ჯარების სარდალს ფელდმარშალ მონტგომერის გაუგზავნა დეპეშა, რომელითაც განკარგულება მისცა „გულდასმით შეეგროვებინა გერმანელთა იარაღი და შეენახა იგი, რომ ადვილი ყოფილიყო მისი კვლავ დარიგება გერმანელი ჯარისაკაცებისათვის, რომელთთანაც თანამშრომლობა მოგვიხდებოდა, საბჭოთა შეტევა რომ გაგრძელებულიყო“. ფელდმარშალმა მონტგომერიმ ასეთი ორბრიტანული ხრძანების მიღება დადასტურა.

საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიას და სამხედრო ისტორიას ცოტა ახსოვს სამოკავშირეო ვალდებულებებისადმი და მოვალეობისადმი ასეთი ღალატის მაგალითები, როგორიც არის 1-ნ ჩერჩილისა და ფელდმარშალ მონტგომერის ეს ვერაგობა, რომელიც მათ მეორე მსოფლიო ომის ბოლოს გამოიჩინეს. ამიტომ გასაგებია, რომ ჩერჩილის ამ ცინიკურმა განცხადებამ ყველგან სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია.

გამოვიდა რა 1 დეკემბერს ინგლისის თემთა პალატაში ჩერჩილმა, რომელიც, ეტყობა, მიხვდა, რომ ზედმეტი წამოროშა, სცადა თავი გაემართლებინა, შეერბილებინა ის შთაბეჭდილება, რაც მისმა ვუდფორდის განცხადებამ მოახდინა, საეჭვოდაც კი გახადა თვით ფაქი ფელდმარშალ მონტგომერისათვის ასეთი დეპეშის გაგზავნისა, აცხადებდა „შესაძლოა, ასეთი დეპეშა არც გამეგზავნოსო“. ამასთან ერთად ჩერჩილმა პარლამენტში წარმოთქმულ ამ სიტყვაში კვლავ დაადასტურა, რომ, დამოუკიდებლად იმისა, გაგზავნა თუ არ გაგზავნა ასეთი დეპეშა, იგი მაშინ ნამდვილად ვარაუდობდა გამოყენებინა ჰიტლერული ჯარისკაცები და ოფიცრები სპეციალურ ბრიგადებად — ანტიჰიტლერულ კოალიციაში მოკავშირის წინააღმდეგ. „ეირსების, აგრეთვე პოლიტიკის საქმე იქნებოდა დაგვებრუნებინა მათთვის (ე. ი. ჰიტლერელებისათვის. — **გ. ჟ.**) მათი იარაღი“, — განაცხადა ჩერჩილმა. მაგრამ იმავე დღეს, 1 დეკემბერს, მონტგომერიმ მეორედ დაადასტურა, რომ 1945 წელს მან მართლაც მიიღო ჩერჩილისაგან დეპეშა, „რომელიც მოგვიწოდებდა მზად ვყოფილიყავით გერმანიის დამარცხებულ ჯარებთან ერთობლივი მოქმედებისათვის რუსების შემდგომი წინსვლის შემთხვევაში“, და რომ დეპეშა შეიცავდა აგრეთვე მითითებას სრულ წესრიგში შეენახათ ჰიტლერული არმიის იარაღი.

ჩერჩილისა და მონტგომერის ეს აღიარება ახალ შუქს ჰფენს მეორე მსოფლიო ომის დასასრულის ამბებს, იმ პოლიტიკასა და პრაქტიკას, რასაც ახორციელებდა ჩერჩილი, რომელიც, როგორც ცნობილია, ამჟამადაც არის დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის, დასავლეთ გერმანიის ვერმახტის შექმნისა და დასავლეთის ზოგიერთ სახელმწიფოთა აგრესიულ სამხედრო ბლოკში მისი შეყვანის ერთ-ერთი გულმოდგინე ორგანიზატორი.

მაგრამ, როგორც ამას სხვა ფაქტები მოწმობენ, ჩერჩილისა და მონტგომერის ზემოაღნიშნული აღიარება სრულებითაც არ გვიჩვენებს მთელ სიმართლეს იმის შესახებ, თუ როგორი იყო ნამდვილი ხასიათი ჩერჩილის მთავრობის პოლიტიკისა მეორე მსოფლიო ომის ბოლოს და ამ ომის დამთავრებისთანავე. ეს ფაქტები მოწმობენ, რომ ევროპაში ინგლისის სარდლობა, როგორც ეს ახლა სავსებით ამჟარა გახდა, ჩერჩილის პირდაპირი მითითებით, არა მარტო აგროვებდა და ინახავდა განადგურებული ჰიტლერული ჯარების იარაღს, რათა შეეიარაღებინა ამ ჯარების ნაშთები თავის მოკავშირეთა წინააღმდეგ, არამედ დიდხანსაც ტოვებდა ჰიტლერული არმიის ორგანიზებულ ნაწილებს, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა ინგლისის ვალდებულებებს, რომლებიც მან საზეიმოდ იკისრა პოტსდამის შეთანხმებით 1945 წლის აგვისტოში.

ჩერჩილისა და მონტგომერის ახლანდელი აღიარებით ახალი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტებს, რომლებიც მოხდა 1945 წლის დამლევს გერმანიის საკონტროლო სხეულში.

1945 წლის 20 ნოემბერს, მე, როგორც გერმანიის საკონტროლო სხეულის სამოკავშირეო მმართველმა, საკონტროლო საბჭოს გადავეცი მემორანდუმი იმის შესახებ, რომ გერმანიის ოკუპაციის ინგლისურ ზონაში იმყოფებოდნენ ყოფილი ჰიტლერული არმიის ორგანიზებული ნაწილები. ამ მემორანდუმში მე მოვიყვანე მონაცემები იმის შესახებ, რომ გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციიდან შვიდი თვის გასვლის შემდეგ ევროპაში ინგლისის ჯარების სარდლობა ოკუპაციის ინგლისურ ზონაში ტოვებდა ჰიტლერული არმიის ორგანიზებულ ნაწილებს, რომლებიც ითვლებოდა ასეულ ათასობით გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი ტანებიანი, სამართველოებით, სამსახურებითა და სამხედრო კომენდატურებით (მემორანდუმის ტექსტი ქვემოთ ქვეყნდება).

საკონტროლო სხეულში ამ მემორანდუმის განხილვის დროს მონტგომერი ფაქტების ზეგავლენით იძულებული იყო ეღიარებინა, რომ გერმანიის ოკუპაციის ინგლისურ ზონაში იყვნენ გერმანელთა ნაწილები, რომლებიც თითქოს „ელოდნენ დაწესებულ ან მუშაობდნენ“ მისი, მონტგომერის, სარდლობით. ინგლისის სარდლობის მოქმედებას იგი მაშინ ფარისევლურად ხსნიდა თითქოს გერმანელთა ჯარების დაშლასთან დაკავშირებული „ტექნიკური სიძნელეებით“, თუმცა ცხადი იყო, რომ ეს სიმართლეს არ შეეფერებოდა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს მოქმედება ინგლისის სამხედრო სარდლობისა ფელდმარშალ მონტგომერის სახით ცნობილი იყო ამერიკის სარდლობისათვის, რაც ჩანს მონტგომერის 1945 წლის 30 ნოემბრის განცხადებიდან საკონტროლო სხეულში. „მე გამაკვირვებდა, — ამბობდა იგი, — ჩემთვის რომ ეცნობებინათ, რომ ამ საკითხში (საქმე ეხებოდა ჰიტლერული არმიისადმი დაყენებულებას. — **გ. ჟ.**) განსხვავება არსებობს ჩვენი მოქმედების ხაზსა და ჩემი ამერიკელი კოლეგის მოქმედების ხაზს შორის, ვინაიდან მოქმედების ხაზი, რომელსაც ჩვენ ვადგავართ, თავიდანვე დადგენილი იყო გაერთიანებული სარდლობის დროს გენერალ ეიზენჰაუერის ხელმძღვანელობით“.

ამერიკის წარმომადგენელი საკონტროლო სხეულში გენერალი მაკნარნი ფაქტებმა აიძულა ეღიარებინა, რომ მისი თვალსაზრისით ამ განცხადების საფუძველზე, რომელიც ფელდმარშალმა მონტგომერიმ გააკეთა გერმანიის ოკუპაციის ინგლისურ ზონაში ყოფილი ჰიტლერული ლათაიელების ომის შესახებ, რომ დასავლეთ გერმანიის შეიარაღება თითქოს თავდაცვითი მიზნებით ხორციელდება.

საბჭოთა კავშირის მარშალი
გ. ჟუკოვი.

1945 წ. 20 ნოემბერი

სამოკავშირეო საკონტროლო ხელისუფლება

საკონტროლო საბჭო

საბჭოთა წარმომადგენლის მემორანდუმი ოკუპაციის ბრიტანულ ზონაში ყოფილი გერმანიის არმიის ორგანიზებული ნაწილების ყოფნის საკითხზე

შესაბამისად დეკლარაციისა გერმანიის დამარცხების შესახებ, რომელიც ხელმოწერილია 1945 წლის 5 ივნისს, აგრეთვე ბერლინის კონფერენციის გადაწყვეტილებისა გერმანიის შესახებ:

„გერმანიის ან გერმანელთა კონტროლში მყოფი მთელი შეიარაღებული ძალები, სადაც უნდა იყვნენ ისინი განლაგებულნი, მათ შორის სახმელეთო, საჰაერო, ჰაერსაწინააღმდეგო და სამხედრო-საზღვაო ძალები. სს, სა და გესტაპო, აგრეთვე მთელი სხვა ძალები ან დამხმარე ორგანიზაციები, რომლებსაც იარაღი აქვთ, მთლიანად განიარაღებულ უნდა იქნან...“

„გერმანიის მთელი სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო შეიარაღებული ძალები, სს, სა, სდ და გესტაპო მთელი მათი ორგანიზაციებით, შტაბებითა და დაწესებულებებით, მათ შორის გენერალური შტაბი, ოფიცერთა კორპუსი, რეზერვისტთა კორპუსი, სამხედრო სასწავლებლები, ომის ვეტერანთა ორგანიზაციები და ყველა სხვა სამხედრო და ნახევრადსამხედრო ორგანიზაციები, თავიანთი კლუბებითა და ასოციაციებით, რომლებიც ემსახურებიან გერმანიაში სამხედრო ტრადიციების დაცვის ინტერესებს, მთლიანად და საბოლოოდ გაუქმებულ იქნებიან, რათა სამუდამოდ აღიკვეთოს გერმანიის მილიტარიზმისა და ნაციზმის აღორძინება ან რეორგანიზაცია“.

ბერლინის კონფერენციის გადაწყვეტილებებიდან და გერმანიის დამარცხების შესახებ დეკლარაციიდან ცხადია, რომ გერმანიის ტერიტორიაზე არ უნდა რჩებოდნენ გერმანელთა არავითარი სამხედრო, სამხედრო-საზღვაო, სამხედრო-საჰაერო ხელისუფალნი, აგრეთვე სახმელეთო, საჰაერო, ჰაერსაწინააღმდეგო და სამხედრო-საზღვაო შენაერთები, ნაწილები და სამსახურები.

საბჭოთა სარდლობის ხელთ არსებული მონაცემებით და უცხოეთის პრესის მონაცემებით — გერმანიის ოკუპაციის ინგლისურ ზონაში კვლავ არსებობენ გერმანიის შეიარაღებული ძალები და გერმანელი სამხედრო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ხელისუფალნი. დღემდე არსებობს გერმანიის საარმიო ჯგუფი მიულერისა, რომელსაც ოქტომბერში ნორდის საარმიო ჯგუფი უწოდეს. ამ საარმიო ჯგუფს აქვს საველე სამმართველო და შტაბი. ამ საარმიო ჯგუფის შტაბში შედის:

ოპერატიული განყოფილება,
ობერ-კვარტირმაისტერის განყოფილება,
საინტენდანტო განყოფილება,
ოფიცერთა შემადგენლობის განყოფილება,
ავტოტრანსპორტის განყოფილება,
სან. სამსახური.

ნორდის საარმიო ჯგუფში შედის სახმელეთო, საჰაერო და ჰაერსაწინააღმდეგო შენაერთები და ნაწილები. მასში შედის საკორპუსო ჯგუფები:

ა) შტოკჰაუზენი
ბ) ვიტჰოფი —

თვითეული მათგანის პირადი შემადგენლობა **ასი ათას** კაცს აღემატება.

გარდა საკორპუსო ჯგუფებისა, გერმანიის ოკუპაციის ინგლისურ ზონაში შეიქმნა გერმანელთა ხუთი სამხედრო საკორპუსო ოლქი სამმართველოებითა და სამსახურებით. გერმანელთა სამხედრო საკორპუსო ოლქების სამმართველოები დისლოცირებულია შემდეგ ქალაქებში:

1. **ჰამორი**
2. **იტცეჰოე**
3. **ნოიმიუნსტერ-რენდსბურგი**
4. **ფლენსბურგი**
5. **ჰამბურგი.**

გერმანიის ოკუპაციის ინგლისურ ზონაში გერმანელთა სამხედრო ოლქების დამატებით შექმნილია გერმანელთა 25 საოლქო და ადგილობრივი სამხედრო კომენდატურა შემდეგ ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში: **პინებერგი, ზეგებერგი, ლიუბეკი, ლაუენბურგი, იტერზენი, ჰერკერკირხენი, ბერინგშტედტი, იტცეჰოე, ელმსჰორნი, შლეზვიგი, ეკერნ-ფერდე, ჰუზუმი, ვესტერლანდი, რენდსბურგი, ჰაიბე, მარნე, ვესელბურენი, ჰენშტედტი, მელდორფი, ალბერსდორფი.**

გერმანიის ოკუპაციის ინგლისურ ზონაში სამხედრო-საჰაერო შენაერთები და ხელისუფალნი წარმოდგენილია მე-11 საჰაერო ოლქის სახით, რომელიც შეიცავს ჰაერსაწინააღმდეგო შენაერთებს (მე-18 საზენიტო დივიზიის ნაწილებს), ბომბდამშენთა ესკადრილს, ავიაგამანადგურებელთა ესკადრილს, მოიერიშეთა ესკადრილს და ახლო მანძილზე დაზვერვის ჯგუფებს. მე-11 საჰაერო ოლქს აქვს ომის დროის საჰაერო არმიის შტატის მსგავსი შტატი. გერმანელთა შეიარაღებულ ძალებს გერმანიის ოკუპაციის ინგლისურ ზონაში ჰყავთ კავშირგამბმულობის ჯარები (ხუთ პოლკზე მეტი) და აქვთ სატანკო ქვეგანაყოფები, აგრეთვე სამხედრო ჰოსპიტლების გაშლილი ქსელი — 20.000-ზე მეტი საწოლი. გერმანიის სამხედრო-საზღვაო ძალებს ამჟამად ეწოდება ტრალირების გერმანული სამსახური. ტრალირების ამ გერმანულ სამსახურს აქვს შტაბი, საგუშაგო დივიზიები და ფლოტილიები.

აღნიშნული გერმანული შენაერთების, ნაწილებისა და სამსახურების გარდა, **შლეზვიგ-ჰოლშტაინის** პროვინციაში იმყოფება ერთ მილიონამდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, რომლებიც გადაყვანილი არ არიან სამხედრო ტყვეთა მდგომარეობაზე, არამედ ეწევიან მეცადინეობას სამხედრო მზადების დარგში.

ყველა ზემოჩამოთვლილი სამხედრო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ხელისუფალი აგრეთვე მათი შემადგენლობა, ნაწილები და სამსახურები იღებენ ყველა სახის კმაყოფას საარმიო ნორმებით. ჩამოთვლილი შენაერთების, ნაწილებისა და სამმართველოების პირადი შემადგენლობა ატარებს განმასხვავებელ ნიშნებსა და ორდენებს. ყველა რანგისა და ხარისხის მთელ პირად შემადგენლობასთან ეწყობა სამხედრო მეცადინეობა, წარმოებს წინწაწევა სამსახურში, პირად შემადგენლობას ეძლევა შვებულება ფულადი კმაყოფის ანაზღაურებით.

როგორც ზემონათქვამიდან ჩანს, გერმანიის ოკუპაციის ინგლისურ ზონაში გერმანელთა სამხედრო, სამხედრო-საზღვაო, სამხედრო-საჰაერო ხელისუფალთა, აგრეთვე სახმელეთო საჰაერო, ჰაერსაწინააღმდეგო და სამხედრო-საზღვაო შენაერთების, ნაწილებისა და სამსახურების არსებობა არ შეიძლება აიხსნას ინგლისური ზონის ოკუპაციის არავითარი თავისებურებით.

ის გარემოება, რომ ოკუპაციის ინგლისურ ზონაში არსებობენ —

— გერმანელთა **ნორდის** საარმიო ჯგუფი,
— **შტოკჰაუზენის** საკორპუსო ჯგუფი,
— **ვიტჰოფის** საკორპუსო ჯგუფი,
— მე-11 საჰაერო ოლქი,
— სამხედრო ოლქების სამმართველო **ჰამორში, იტცეჰოეში, ნოიმიუნსტერ-რენდსბურგში, ფლენსბურგში, ჰამბურგში,**
—გერმანელთა 25 სამხედრო საოლქო და ადგილობრივი კომენდატურა,
— კავშირგამბმულობის ჯარები,
— სატანკო ქვეგანაყოფები, —

ეწინააღმდეგება ბერლინის კონფერენციის გადაწყვეტილებებს და დეკლარაციას გერმანიის დამარცხების შესახებ.

საბჭოთა სარდლობას საჭიროდ მიაჩნია დაისვას საკითხი იმის შესახებ, რომ ოკუპაციის ინგლისურ ზონაში გაიგზავნოს საკონტროლო საბჭოს კომისია იმის გასაცნობად ადგილზე, თუ რა მდგომარეობაშია გერმანიის შეიარაღებული ძალების განიარაღებისა და ლიკვიდაციის საქმე.

საბჭოთა კავშირის მარშალი
გ. ჟუკოვი.

(„პრავდა“ — 16 დეკემბერი).

„თავით ფეხთამდე შეიარაღებული ფაშიზმი საშინელ საფრთხეს შეუქმნიდა ამერიკის შეერთებულ მეგობრებსაც“

ფოლ რობსონის ინტერვიუ გაზეთ „რუდე პრავოსადმი“

პრაღა, 16 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა საგენტი იუწყება, გაზეთმა „რუდე პრავომ“ გამოაქვეყნა ცნობილი ამერიკელი საზოგადო მოღვაწის, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატის პოლ რობსონის ინტერვიუ.

პოლ რობსონმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლონდონისა და პარიზის შეთანხმებანი „უშუალო საფრთხეს უქმნიან ხალხთა ერთობლივ მეცადინეობას, რომლის მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, შეიარაღების საყოველთაო შემცირება და მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვა“.

პოლ რობსონმა თქვა, რომ მოსკოვის თათბირმა დასახა ერთადერთი სწორი გზა ევროპის ყველა ქვეყნის კოლექტიური უშიშროების უზრუნველსაყოფად. „ევროპის ხალხებს, — განაცხადა მან, — ეკისრებათ დიდი პასუხისმგებლობა. მათ უაღრესად მტკიცედ უნდა დაუჭირონ მხარი მოსკოვის თათბირის გადაწყვეტილებებს, რომელთა განხორციელება მათი საკუთარი უშიშროების გარანტია იქნება. ასევე ეკისრებათ ამერიკის ხალხებს“.

კითხვაზე, შეესაბამება თუ არა უბრალო ამერიკელთა მოთხოვნებს ევროპის ქვეყნების ხალხთა მისწრაფება შექმნან ევროპაში სრულიად ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემა, პოლ რობსონმა უპასუხა: „ამერიკელ ხალხს კარგად ესმის, რომ თავით ფეხთამდე შეიარაღებული ფაშიზმი საშინელ საფრთხეს შეუქმნიდა ამერიკის შეერთებულ შტატებსაც.

ამერიკის შეერთებული შტატების მშრომელნი სულ უფრო ხშირად იხილავენ ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის პრობლემებს, მიუხედავად იმისა, თუ როგორია ამ ქვეყნების საზოგადებრივი წყობილება. სულ უფრო მეტი ამერიკელი მიდის იმ დასკვნამდე, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის შესაძლებლობა რეალურია“.

დასასრულ პოლ რობსონმა თქვა: „მე მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი მთელი ძალღონით ვიბრძოლო ფაშიზმისა და დასავლეთ გერმანიის მილიტარიზაციის წინააღმდეგ. მე ვიცი, რომ მძიმე ბრძოლა მოგველის... ამერიკის შეერთებულ შტატებში არის ხალხის ძალები, რომლებიც არასოდეს არ დაყრიან იარაღს მშვიდობისათვის ბრძოლაში“.

ბონის პარლამენტში

ბერლინი, 16 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ბონის ბუნდესტაგში გრძელდებოდა კამათი პარიზის სამხედრო შეთანხმებათა რატიფიკაციის საკითხზე.

„სრულიად გერმანიის ბლოკის“ ფრაქციის თავმჯდომარემ ჰაასლერმა უშენიშვნოდ დაუჭირა მხარი პარიზის შეთანხმებებს. ჰაასლერმა სკადა იმის მტკიცება, თითქოს **საბჭოთა** კავშირი არ იჩენდეს მზადყოფნას მოლაპარაკებისათვის. ამასთანავე იგი იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ „გერმანიის გაერთიანება უფრო შესაძლებელი იქნებოდა, ფედერალური რესპუბლიკა სამხედრო ბლოკს რომ არ მიმხრობოდა“. მოაგონა რა სხდომას, რომ დასავლეთ გერმანიაში სამხედრო ბეგარის შემოღების განხილვა არსად არ ოწვევს „აღფრთოვანებას“, ჰაასლერმა განაცხადა, დასავლეთ-გერმანელი ახალგაზრდობა სამხედრო მზადყოფნის სულისკვეთებით უნდა აღვზარდოთო.

ჰაასლერმა თავი აარიდა პასუხს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის დეპუტატების შეკამათებაზე საარის სტატუტის შესახებ.

ადენაუერის მოთხოვნას პარიზის სამხედრო შეთანხმებათა რატიფიკაციის შესახებ მხარი დაუჭირეს აგრეთვე ბუნდესტაგის დეპუტატებმა მერკ�მა („გერმანული პარტია“) და რასნერმა (ქრისტიან დემოკრატთა კავშირი). კამათში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ყოფილმა ჰიტლერელმა გენერალმა — სამხედრო დამნაშავემ მანტოიფელმა, რომელიც ახლა ბუნდესტაგის დეპუტატია „თავისუფალი დემოკრატიული პარტიისაგან“.

მანტოიფელმა თავისი სიტყვა დაიწყო ყალბი მტკიცებით, რომ „საფრთხე მოსალოდნელია ალმოსავლეთიდან“, ყალბი მტკიცებით, რასაც ხალხისთა მიმართავდნენ ჰიტლერელები, ემზადებოდნენ რა მშვიდობისმოყვარე ხალხთა წინააღმდეგ აგრესიული ომის განსაჭიანებლად. მანტოიფელმა განაცხადა, ახლა იმაზე კი არ უნდა ვიდავოთ საჭიროა თუ არა ახალი არმია, არამედ მის პრაქტიკულად შექმნას უნდა შეეუდგეთო.

ბუნდესტაგის დილის სხდომაზე უკანასკნელი გამოვიდა დეპუტატი ერლერი (გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია). მან წაიკითხა გერმანიის ევანგელისტთა ეკლესიის 300 თვალსაჩინო წარმომადგენლის მიმართვა, რომელნიც აღნიშნავენ, რომ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ დასავლეთგერმანელი ახალგაზრდობის თავისუფლების ჩახშობით, ახალგაზრდობისა, რომელსაც არ სურს კვლავ ალის ხელში იარაღი. ამ მიმართვამ დიდი შეშფოთება გამოიწვია ადენაუერის მომხრეთა შორის.

ერლერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დასავლეთგერმანელ ახალგაზრდობას არავითარი სურვილი არა აქვს შევიდეს დასავლეთ გერმანიის არმიაში.

სხდომის შეწყვეტის შემდეგ კამათი გაგრძელდა.

ღიდი ბერლინის მშვიდობისათვის მებრძოლთა კონფერენცია

ბერლინი, 16 დეკემბერი. (საკდესი). აქ გაიმართა დიდი ბერლინის მშვიდობისათვის მებრძოლთა კონფერენცია. გახსნა რა კონფერენცია, დიდი ბერლინის მშვიდობისათვის მებრძოლთა სამჭოს თავმჯდომარემ პროფესორმა რ. ჰავემანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარიზის შეთანხმებები აგრესიული ხასიათისაა და რომ საჭიროა გაძლიერდეს ბრძოლა მათი რატიფიკაციის წინააღმდეგ.

მშვიდობის მსოფლიო სამჭოს სტოკჰოლმის სესიის შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთა გერმანიის მშვიდობისათვის მებრძოლთა სამჭოს გენერალურმა მდივანმა გ. ვილმანმა. მან აღნიშნა, რომ დიდი ბერლინის მშვიდობისათვის მებრძოლთა ძირითადი ამოცანაა ყოველგვარი საშუალებით იბრძოლონ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის წინააღმდეგ, გერმანელებს შორის ურთიერთგაგების მიღწევისათვის.

კონფერენციაზე გამოვიდა ბერლინის ოროვე ნაწილის მშვიდობისათვის მებრძოლთა მრავალი წარმომადგენელი. მათ ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირის დეკლარაციას და გაილაშქრეს პარიზის შეთანხმებათა წინააღმდეგ. ორატორებმა მხარი დაუჭირეს დიდი ბერლინის მაგისტრატის წინადადებას ბერლინის გაერთიანებისათვის ხელშეწყობის მიზნით ერთობლივი მოქმედების შესახებ.

კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს სსრ კავშირის, იტალიისა და საფრანგეთის მშვიდობის მომხრეთა კომიტეტებისადმი მისასალმებელი დეპეშები, რომლებშიც სიტყვას აძლევენ მათ, რომ გერმანელი მშვიდობის მომხრეები ძალღონეს არ დაზოგავენ პარიზის შეთანხმებათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ბონის ბუნდესტაგის დეპუტატებისადმი მიმართვაში კონფერენციის მონაწილენი მოუწოდებენ არ დაუშვან ამ შეთანხმებათა რატიფიკაცია.

კონფერენციამ მიიღო მიმართვა ბერლინის ყველა მცხოვრებისადმი, რომლებსაც მოუწოდებს მიაღწიონ ურთიერთგაგებას გერმანიისა და მისი დედაქალაქის — ბერლინის მშვიდობიანი გაერთიანების მიზნით.

იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრ სიგემიცუს „ბენსხადგებული“

ნიუ-იორკი, 17 დეკემბერი. (საკდესი). იუნაიტედ პრესის საგენტის კორესპონდენტი ტოკიოდან იუწყება, რომ ტოკიოში საგარეო საქმეთა მინისტრმა სიგემიცუმ სიტყვა წარმოთქვა დღეს პრესკონფერენციაზე იაპონიასთან ურთიერთობის შესახებ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ვ. მ. მოლოტოვის 16 დეკემბრის განცხადების გამო.

„მოლოტოვის განცხადება მოულოდნელი იყო, — თქვა სიგემიცუმ. — ...ის ფაქტი, რომ რუსეთმა, რომელმაც უარყო სან-ფრანცისკოს საზავო ხელშეკრულება, ეს განცხადება გააკეთა, აშკარა წინგადადგმული ნაბიჯია. ჩვენ გულმოდგინედ უნდა ვადევნოთ თვალყური ამ ბების მომავალ განვითარებას“.

კორესპონდენტი იუწყება, რომ საგარეო საქმეთა მინისტრმა თავისი პრესკონფერენცია გამართა კაბინეტის სხდომის შემდეგ, რომელიც მოიწვია პრემიერ-მინისტრმა ხატოიამამ და რომელზეც იაპონიის ლიდერებმა, ცხადია, განიხილეს ვ. მ. მოლოტოვის განცხადება.

საფრანგეთის ეროვნული კრების ეროვნული თავდაცვის კომისიამ უარყო მოსხენება, რომლითაც რეკომენდებულია პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია

პარიზი, 16 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ გაიმართა ეროვნული კრების ეროვნული თავდაცვის კომისიის სხდომა, რომელზეც პარიზის შეთანხმებათა საკითხზე გამოვიდნენ პრემიერ-მინისტრი მენდეს-ფრანსი და ეროვნული თავდაცვის მინისტრი ტამპლი. როგორც გაზეთები იუწყებიან, მენდეს-ფრანსი გულმოდგინედ იცავდა პარიზის შეთანხმებებს, ამასთან წამოიაჟანა იგივე მოსაზრებანი, რომელებსაც მიმართა საგარეო საქმეთა კომისიის ამასწინანდელ სხდომაზე.

დღეს ეროვნული თავდაცვის კომისიაში კენჭი იუყარეს ლუსტონო-ლაკოს მოხსენებას, რომელითაც რეკომენდებულია ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია. კომისიამ 21 ხმით 11 ხმის წინააღმდეგ უარყო ეს მოხსენება.

ინდონეზიის ეროვნული პარლამენტის ყრილობაზე

ჯაკარტა, 16 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ ბანდუნგში გაიხსნა ინდონეზიის ეროვნული პარტიის მე-7 ყრილობა. ყრილობას ესწრება ათასამდე დელეგატი. ანტარას სიტყვიერი ცნობით, ეროვნული პარტიის აღმასკომის მდივანმა სუტოიომ განაცხადა, რომ პარტიას ჰყავს 7 მილიონი წევრი, მაშინ როცა ორი წლის წინათ პარტიაში მილიონნახევარი წევრი იყო.

ყრილობას ესწრება ეროვნული პარტიის წევრი ყველა მინისტრი სასტროამიჯოიოს მეთაურობით.

ყრილობა განიხილავს შინაპოლიტიკურ და საგარეო-პოლიტიკურ პრობლემებს, პარლამენტის არჩევნებისათვის მზადების საკითხს, ინდონეზიის რესპუბლიკის კონსტიტუციის საკითხს და სხვ.

ტიტო ინდოეთში ჩავიდა

პარიზი, 16 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი იუწყება, დღეს ბომბეიში ჩავიდა იუგოსლავიის პრეზიდენტი ტიტო.

გომინდანელთა ავიაცია განაგრძობს პროვოკაციულ თავდასხმებს

პეკინი, 16 დეკემბერი. (საკდესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტი ჯეძიანის ფრონტიდან იუწყება:

14 დეკემბერს 23 საათსა და 15 წუთზე ჩანკაიშელთა თვითმფრინავი „რვ-40“ თავს დაესხა კუნძულ ტოუმინს ჯეძიანის პროვინციის სანაპიროსთან და ჩამოაგდო 9 ბომბი. დაბომბვას არავითარი ზარალი არ გამოუწვევია.

რედაქტორი ნ. ჯაში.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

დღეს
ახალი პროგრამა
ახლად ჩამოსული მსახიობების
მონაწილეობით

კვირას, 19 დეკემბერს
ორი საბავშვო წარმოდგენა—
დღის 12 საათზე და 3 საათზე. საღამოს
წარმოდგენების დასაწყისი 8 ს. და 30 წ.

ბილეთები იყიდება სახცირკის სალაროებში. მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

ДИЛЕРГЗАЦИЗЕБИ ДАЗЗЕ

СТАЛИНИС САХЕЛОБИС თБИЛИСИС САХЕЛМЗИФО УНИВЕРСИТЕТИ

1954 წ. 29 დეკემბერს დღის 3 საათზე № 25 აუდიტორიაში (უნივერსიტეტის ქ. № 3) ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

ქეთევან ივანეს ასული ბექაია

დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ბიოტინის, საერთო აზოტის და ნახშირწყლების შემცველობის ცვალებადობა მცენარის კვირტებში და ფოთლებში“.**

1954 წ. 29 დეკემბერს დღის 3 საათზე № 107 აუდიტორიაში (უნივერსიტეტის ქ. № 1) ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

ბაბრიელ დიმიტრის-ძე ბაჩულაშვილი

დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ისტორიულისა და ლოგიკურის ურთიერთობის საკითხისათვის კ. მარქსის „კაპიტალის“ მიხედვით“.**

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

მ ო ქ ა ლ ა ქ ე ნ ო!
არ დაგავიწყდეთ მიულოცოთ ახალი წელი თქვენს ნათესავებსა და ნაცნობებს!

თბილისის ცენტრალური ტელეგრაფი, ფოსტამტი და ქალაქის კავშირგამბმულობის განყოფილებები წინასწარ იღებენ საახალწლო მისალოცავ დეპეშებს, რომლებიც ადრესატს ჩაბარდება გამგზავნის მიერ ნაჩვენებ დღეს.

მაგალითად: „ჩაბარდეს 1 იანვარს“.

მოსახლეობისათვის უფრო მოხერხებული პირობების შექმნის მიზნით ასეთი დეპეშები მიიღება წინასწარ 18 დეკემბრიდან 30 დეკემბრამდე ჩათვლით.

ნაჩვენებ ვადაში დეპეშების ჩაბარებისათვის და ზედმეტ სიტყვებზე, რომლებითაც ნაჩვენები იქნება ადრესატისათვის დეპეშის ჩაბარების დღე, გამგზავნი დამატებით საფასურს არ იხდის.

მისალოცი დეპეშები მიიღება აგრეთვე ბინის ტელეფონებიდან ფასის შემდგომი შეტყობინით ცენტრალური ტელეგრაფის სალაროში (სამხედრო ქუჩა № 4). ამისათვის უნდა გამოუძახოთ ტელეფონით № 06 ან 3-11-43 და გადასცეთ დეპეშის შინაარსი.

მოქალაქენო! ნომჩირნედ გამოიყენეთ თქვენი დრო! გაგზავნეთ საახალწლო მისალოცი დეპეშები წინასწარ. ასეთი დეპეშები ადრესატს ჩაბარდება თქვენს მიერ ნაჩვენებ დღეს.

თბილისის ცენტრალური ტელეგრაფის ადმინისტრაცია

გამომცემლობა „კომუნისტს“ ესაჭიროება

დამხმარე მუშები საცეცხლფარეშოში.
პირობებისათვის მიმართეთ: ლენინის ქ. № 14, III სართული.

მოქალაქე გიორგი ალექსის-ძე შირსკიმ, მცხოვრებმა ლ. კავსაძის ქ. № 3, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **მარიამ ალექსის ასულ პონომარიოვა-შირსკაიასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციისა და გამომცემლობის კოლ